ნ. ნიკოლაძის ნაწერი

ჩემ პოლიტიკაზე

(გაზ. „იმერეთის“ საპასუხოდ)

ავტორის გამოცემული

იყიდება ორ შაურად

ქუთაისი
იოს. ხელაძის სტამბა
1913 წელი

წიგნაკის წაკითხვამდის, გთხოვთ, ის შეცთომები გადაასწოროთ, რაც წიგნის ბოლოშია ნაჩვენები.

ჩემ პოლიტიკაზე

(გაზეთის „იმერეთის“ საპასუხოდ *)

> აღსდეგ, უფალო, მაცხოვნე მე. ღმერთო ჩემო, რამეთუ შენ დასცენ ყოველნი, რომელნი მემტერნეს მე ამაოდ, კბილნი ცოდვილთანი შენ შემუსრენ. (ფსალმუნი დავითისი. III, მუხ. 8.

I.

ბ. მეუნარგიას გაშავება მარტო ფოთის კერძო, შინაური საქმე იყო. არავითარი პარტიული ან საერო ხასიათი მას არ ჩნევია. ნამუსიან სტამბაში ასეთ გარემოებას არ უნდა გამოეწვია-რა, შინაური ქრონიკის უბრალო ამბის მეტი.

---

*) ეს ჩემი საპასუხო წერილი გადავეცი „იმერეთის“ რედაქციას, რომელმანაც მისი დაბეჭ-

დის უარი შემომითვალა.

ფოთზე უდიდეს ქალაქს – ქუთაისში – ამას წინათ ბ. მეუნარგიაზე უფრო საღი, მცოდნე, დამსახურებული პირი, უფრო მაღალ – ქალაქის თავის – თანამდებობიდან გადააყენეს. სტამბას ამის გამო, გემახსოვნებათ, არც ჯვარზე არავინ უცვია, არც ელვა-ჭექა გაუმართავს. რათ მჭირს ესრეთი უსამართლობა? ვისი დაბალი ღობე მნახეს, რომ ყოველი უწმაწური მაჯირგალებს? ვნახოთ, აბა, რითია დასაბუთებული და რამოდნათ სინიდისიერია ის მხარე სტამბის ჩემზე ამხედრებისა, რომელიც ვითომ საზოგადო, პოლიტიკურ ხასიათს აძლევს ამ მოვლენას. ნახავთ, მკვდარი რომ მკვდარს აეკიდება, რა სისწრაფით იხრწნება ორივე.

ბ. მეუნარგია ფოთს 19 დეკემბერს გაშავდა. ოთხი დღეს შემდეგ: 23 დეკემბერს, „იმერეთში“ (№ 74) დაიბეჭდა ბრალმდები ოქმი ჩემ წინააღმდეგ, ვი-

თომ-და ქართველების ზნეობრივ და გონებრივ გადაგვარებას ხელს ვუწყობდე. საბუთად რა უნდა მოეყვანათ, მტკნარი სიცრუის მეტი? ფოთს პირველ იანვრიდგან (ესე იგი ერთ კვირას შემდეგ) ნიკოლაძის თაოსნობით ყოველდღიური რუსული გაზეთი იწყებს გამოსვლასო. ჩინებულად იცოდნენ, რომ ამ გაზეთისთვის არავის არც ფული ჰქონდა, არც სტამბა, არც ნებართვა, იცოდენ, რომ „ზაკ. რეჩში“ ნიკოლაძე ამ გაზეთის მეთაურად კი არა, ხელის შემშლელად იყო გამოყვანილი, და მაინც ბრალს მდებდენ. აგერ მარტიც დგება. სადაა ეს გაზეთი?

სიცრუეს თქვენი ჭირი წაუღია. ღრმად ჩაუკვირდეთ ამ საკითხს. ფოთში რუსული გაზეთის დამწყებთ განზრახვა ჰქონდათ უკეთ დაეკმაყოფილებიათ ის რუსული საზოგადოების საჭიროება შავი-

ზღვის კავკასიელ განაპირზე, რომელსაც ოთხი რუსული გაზეთი დიდი ხანია ემსახურება ბათომს, სოხუმს, სოჩას და ნოვოროსისკს. ავნებს თუ არგებს ქართულ საქმეს, ამ ხალხისთვის დანიშნული გაზეთი ჩემის თაოსნობით რომ გამოდიოდეს, და არა ბ. პალმის ან ბ. გერმანის მეთაურობით? ეს კითხვაც რომ სადაოთ სცნოთ, სიცრუის გამჭედს რით ვერ გაუგია, რომ ჩვენი სწავლა, მართველობა, მსაჯულება, გზები, ნაოსნობა, მისვლა-მოსვლა, აღებ-მიცემობა, ერთი სიტყვით, მთელი ცხოვრება, ისეთი პირების ხელშია, ვისაც ქართული არ ესმის? მაშასადამე, თუ ქართველობის საბოლოო დამხობა არ გვინდა, რუსულადაც უნდა ვწეროთ ამ ცხოვრების ბრუნვა, დარდი, წამალი, სახსარი.

ქართულ მწერლობაში ეს საგანი ყოველმხრივ გაისინჯა, ამ ორმოცი წლის

წინათ, გადაწყდა, რასაკვირველია, ისე, როგორც მამულის ურყეველი უზენაესი საჭიროება მოითხოვდა: ვისაც ქართველ ხალხისთვის გული ეწვის, მან ქართველებისთვის ქართულად უნდა სწეროს და რუსებისთვის რუსულადო. ის საქმეები, რომლის მზადება და გადაწყვეტა ქართველების ხელშია, ქართულად უნდა ირჩეოდენ; და რომელიც რუსულ საზოგადოებას ან მთავრობას ექვემდებარება, რუსულადო. ათასჯერ რომ ხელ-ახლავ წამოაყენოთ, ატრიალოთ, სჯიჯგნოთ, ღეჭოთ ეს საგანი, შეიძლება განა მისი სხვანაირად გადაწყვეტა, სანამ საქართველოს ბედ-იღბალი, ჩემი ბრძანებით კი არა, ხალხთა და საუკუნეთა ტრიალის ძალით, რუსეთთან შედუღებულია? უტვინობამ, თუ უტიფრობამ, სტაცა ხელი ჩემ წინააღმდეგ ამ ხეპრულ იარაღს? ორივე შემთხვევაში სატირალი ყოფილა

მისი მხმარებლის „ზნეობრივი და გონებრივი“ სიღატაკე.

ამ პირველ ოქმს თავს ვერ დავანებებ, თუ მისი შემდეგი ნაწყვეტი არ ამოვწერე:

„ამის (გადაგვარების) მიზეზი სწორედ ნიკო ნიკოლაძეს უნდა მივაწეროთ, რომელიც სათავეში უდგება გამოცემის საქმეს (ისემც ღმერთი გიშველისთ!). თვით ინტელიგენციის უმეტესი ნაწილის დამახასიათებლად მეტად საგულისხმოა ის მოვლენა, რომ ფოთში „ზაკ. რეჩი“ ორჯერმეტი იყიდება, ვიდრე „იმერეთი“ და „სახალხო გაზეთი“.

აქ ბოლო რომ თავს არღვევს, დამწერს, რასაკვირველია, ვერ შეუნიშნავს. თუ ჩვენებურმა ინტელიგენციამ ქართული მწერლობა შეიზიზღა, მე რა შუაში ვარ? რუსულ გაზეთს თუნდ მართლაც სათავეში ჩავუდგე, ქართულ მწერლობას რაღა უნდა დავაკლო, რაკი ინტელიგენცია მას კაი ხანია დაუკარგავს? შეიძლება განა ვინმე ჭყუა-საღმა ჯერ კიდევ დაუარსებელ

გამოცემას მიაწეროს ისეთი მოვლენა, რომელიც, მისივე სიტყვით, ჩვენში მკვიდრათ არსებობს?

ამ უაზრობასაც რომ ხელი შეუშვათ და საქმე არსებითად გავსინჯოთ, სატირალი საქმეა, თუ სასიხარულო თანამედროე ქართული ინტელიგენციის უკმაყოფილება ეხლანდელ ჩვენს გაზეთებზე? ნუ თუ ეს გადაგვარების, და არა წარმატების ნიშანია? იზრდება ხალხი, ფიქრობს ცხოვრების ტრიალზე, საჭიროებაზე, სახსარზე. მისი ზრდის თანასწორად უნდა ვაუმჯობესოთ ქართული მწერლობაც, თუ გვსურს, რომ ხალხის გონებაზე გავლენა შევირჩინოთ. ქართულ მწერლობაში აწი მარტო წარჩინებული ჭკუის, ნიჭის, ცოდნის, ნამუსის პატრონი მოიკიდებს ფეხს, გავლენას მოიხვეჭს და ეს მოვლენა ყოველ ერთგულ მამულის-შვილს სიამაყით უნდა უვსებდეს

გულს: ის მოასწავებს ძველი სიბნელის გაბნევას, რომელიც მყრალ ციცინათელასაც ლამპრად გვაჩვენებდა. რაკი თქვენივე პირით თავს ილანძღავთ, ბეჭდავთ

– ქართული გაზეთი ხალხში აღარ გადისო, გაიღვიძეთ, უნდა უწამლოთ ამ უბედურობას. ვეღარ გაძლებს ჩვენს დროში, ვეღარ აიტანს არსებობისთვის ბრძოლას ერი, რომელსაც გონიერი მწერლობა არ წინამძღვრობს. აამაღლეთ ქართული სტამბა, მისი შინაარსისა და მსახურების გაუმჯობესებით. ამ ერთადერთს წმინდათა-წმინდას ნუ ხდით სიცრუისა და ანგარების სარბიელად. გადაგვარების წამალი ესაა.

გავიდა კიდევ მეორე ოთხი დღე, და იმავე „იმერეთში“ (77) ახალი ბრალმდები ოქმი დამიბეჭდეს, ამ სათაურით: „ნ. ნიკოლაძის ახლანდელი მოღვაწეობის ნიმუში“.

9

„ნიკოლაძის დღევანდელი მოღვაწეობა – ბრძანებდა ეს ოქმი – მხოლოდ ის არის, რომ ფოთიდგან გააძეოს ყველა, ვინც მის რწმენას არ იზიარებს და ცოტაოდენ დამოუკიდებელ აზრს დაადგებაო“.

რა ნაირად შემეძლებოდა ამდენი ხალხის გაძევება, რა უფლებით და, განსაკუთრებით, რა მიზნით, ეს არც დამწერს აუხსნია, არც დამბეჭდავს უკითხავს. ჩემი რწმენა, მგონია, ქარის მონატანი არაა, რომ ვისიმე წინააღმდეგობის მეშინოდეს. იმოდნათ დარწმუნებული ვარ მის საბოლოო, აუცილებელ, შეურყეველ გამარჯვებაზე, რომ არც კი ვიბრძვი მისთვის, მტკიცედ ვიცი, ფუჭი ოცნება კვამლივით დაიშლება და ჭეშმარიტება თავს იჩენს. ორჯერ ორი ოთხად გამოვა, და არა ასად, ან ათასად, როგორც მთვრალებს ჰგონიათ. მეორე მხრით არავითარ დეპუტატობას, თანამდებობას, არჩევას არ ვეძებ, რომ „პარტიას“ ვიდგენდე

10

და წინააღმდეგებს ვდევნიდე. მაშ, ნერონად რა გამხდიდა?

ბრალმდები ოქმი ამის მიზეზად ვიღაც ბ. მიხა ესაკიას სთვლის. „რადგან მისი და ჩემი პოლიტიკურ რწმენა სხვა და სხვა აღმოჩნდა,“ ვეღარ მომითმენია მისი

ფოთს ყოფნა. რამოდნათ მოერიდება ვინმე ამ ვაჟბატონის ძლიერებას, აქაურმა არჩევნებმა საკმაოდ აღმოაჩინეს. ვისმა გვერდით ამოდგომამ თვით ისეთი პატივცემული და მაღალღირსი მოღვაწე გააშავა, როგორიც ლეონიდე ეპისკოპოსი ბრძანდება, *) მას განა ვინმე მტერად ჩათვლის?

ამ ცილის გასაქარვებლად იმისი თქმაც საკმაოა, რომ ბ. ესაკია ფოთიდგან კი არ განუძევებიათ, მხოლოდ ფოთის ქა-

*) თუმცა, ჩემი მხრით, არავითარი მეცადინეობა არ დამიკლია, რომ მისი ყოვლად უსამღვდელოესობა ამოერჩიათ.

ლაქის სათათბირომ მას იჯარადრობა ჩამოართვა. ამის მიზეზი ის გახლდათ, რომ სახელმწიფო სათათბიროსთვის არჩევნებამდი დიდის-ხნით უფრო ადრე, ესე იგი სანამ, ვითომ „მისი და ჩემი პოლიტიკური რწმენის სხვა-და-სხვაობა აღმოჩნდებოდა“, ფოთის ხმოსნებმა თავიანთი ინჯინერის მოხსენების გამო, ბატ. ესაკიას საქციელში, ქალაქის მინდობილებათა შესრულების დროს, ცხადი ბოროტმოქმედება დაინახეს. ვისაც გაძევება ამგვარ პროზაულ შეცთომისთვის ხვდა, მას, უეჭვოა დაშვენდება პოლიტიკური რწმენისთვის წამების გვირგვინი. ჩიჩიკოვიც ეგრე იმართლებდა თავს. ღმერთმა ხელი მოუმართოს, მაგრამ მე, კიდევ რა შუაში ვარ!

ოქმის სიტყვით აი ამ ბ. ესაკიას წინააღმდეგ ცილი გამივრცელებია: შავიქვის კრებას მან შეაგონა, შუამდგომლო-

ბა იქნესო აღძრული მთავრობის წინაშე, რომ ფოთს უფლება ჩამოართვით, გემებს რომ ფულს ახდევინებს კიბეების ქირათო. ოქმი ფიცავს, მის დღეში არ ქონია კრებას ამ საგანზე სჯა და მეცადინეობაო. მბრალდება ცილისწამება კრებაზე, იმ მიზნით, რომ პოლიტიკური მტერი ფოთიდგან მომეშორებია.

კრებაზე არც მე გხლებივარ, არც ფოთის წარმომადგენელი მიუხმიათ, თუმცა უნდა მიეხმოთ. დეკემბრის დამდეგს ჩემის საჭიროებისთვის ქუთაისს აველ. იქ შემხვდა გზათა სამინისტროს წარმომადგენელი ბ. მაკი, რომელსაც თან ახლდენ ჩვენი რკინიგზის მთავარ-მოხელენი: ტეხნიური ნაწილის უფროსი, ინჟინერი პავლოვსკი, მოძრაობის უფროსის ორი თანაშემწე: ინჯინერი გერასიმოვი და ბ. სოლოვიევი, მოძრაობის რევიზორი ბ. ლინევიჩი და სხვ. ბ. მაკმა ამ პირების

წინ მიამბო, რომ იმ დღეს, მათი და ბევრი სხვა მთავრობის წარმომადგენელთა თანდასწრებით, კრებას მისმა რჩევამ მოახსენა, ქალაქი ფოთი შავი-ქვის მრეწველობას სცარცვავს, გემებს ტვირთვას უძნელებს და უძვირებს, კიბეებს მამასისხლად აქირავებს. და უფლება ქალაქს უთუოდ უნდა ჩამოერთვასო. მოვალეობად ჩავითვალე, დავბრუნდი თუ არა ფოთს, ქალაქის თავის მოადგილესთვის მეამბო გარემოება და მერჩია, კავკასიის სამთო გამგეობას მისწეროს ამ საქმის ნამდვილი მდგომარეობა. ცარცვაგლეჯა ამ კიბეების შესახებ მართლა სუფევდა ფოთის პორტში უწინდელ დროს, როცა საქმეს კერძო პირები უპატრონოდ განაგებდნენ. უკანასკნელ წლებში კი ქალაქმა ეს მხარე მოაწესრიგა: კანონი გამოიცა ამის შესახებ, ტაქსა დამტკიცდა. ახლა საქმე, პასუხის-გების

ქვეშ, რიგიანად მიჰყავს ჩვენებურ მუშებისგან შემდგარს არტელს. რადგანაც ვიცოდი, რომ ბ. მეუნარგია ამ გარემოებაზე ყურსაც არ გააპარტყუნებდა, ჩემი პასუხისგების თავიდან ასაშორებლად ეს საქმე ამგვარადვე ვუამბე ფინანსიური კომისიის თავმჯდომარეს ბ. კეშელავას. მეტს არავის. შემეძლო განა სხვანაირად მოვქცეულიყავ? განა ეს ცილისწამებაა? საქმეს უპარტიო მოწმე ბევრი ჰყავს, ღვთის მადლით. ახლა თქვენის ნამუსის-

თვის მიმინდვია გადაწყვეტა: ასეთი საქ-
მის იმ ნაირად წარდგენა მკითხველის-
თვის, როგორც მეორე ოქმს უქნია,
პატიოსან სტამბას განა ეკადრება? მწერ-
ლობაში ყალბობა განა შესაშვებია?

II

ამ თვალსა-და-ხელშუა განაჩენმა ცილმა
– „ნიკოლაძე ფოთიდგან აძევებს ყვე-
ლას, ვინც მის რწმენას არ იზიარებსო“
– ამართა ჩემზე „იმერეთის“ ლეიბ-
პუბლიცისტი, ბ. ურო. ფოთის რეგვნებ-
მა ჩაიგდეს თუ არა ხელში ეს სახიფათო
იარაღი, ღობე-ყორეს მოედვენ. ორი
უთავბოლო წერილი დააბეჭდინეს წრეულს
ჩემ წინააღმდეგ „იმერეთში“: მეოთხე
ნომერში მეთაური – „ნ. ნიკოლაძეს“,
და მეშვიდეში – ფელეტონი „ნ. ნიკოლა-
ძის პოლიტიკური მსოფლმხედველობა».
ხედავთ, რა მაღალ ბანზე აუშვეს ზარი?

„როგორც მკითხველმა იცის (საიდან
სადაო, წმინდაო საბაო!) ნ. ნიკოლაძე ამ
ბოლო დროს სდევნის ყ ვ ე ლ ა ს, ვინც კი
მის რწმენას არ იზიარებს. მისი ბრალი იყო
ფოთიდან იაკობ ფანცხავას წასვლა, მისი

ბრალია მეუნარგიას გაშავება, ეხლა კი
პატივცემულ ჩუმ მოღვაწეს ესაკიას გადამ-
ტერებია და ცილის წამებით ცდილობს
ბოლო მოუღოს.“

„პატივცემულ ჩუმ მოღვაწეს“ (ეს
თქმა მწერლობაში დარჩება) რა აძევებს –
ზევით მოგახსენეთ. ვისი ბრალი ყოფი-
ლა ბ. მეუნარგიას გაშავება, მგონი
საძიებელი აღარაა. ფანცხავას თაობაზე
კი მარტო ეხლა ვტყობილობ, რომ მი-
სი წასვლაც მბრალდება. დღემდი მეგონა,
რომ თუმცა სხვა და სხვა მიმართულების
ვიყავით, ჩვენ საერთო სამსახურს თავი-
დან ბოლომდი უხავსოთ ჩაუვლია. ვფიქ-
რობდი კიდეც, ჩემი მასთან ხანგრძლივი
ძმური თანამშრომლობა საბუთი იქნებო-

და ჩვენ ორისავე რიგიანობისა, სხვისი
რწმენის თმენისა, სხვისი პირადობის
პატივისცემისა, დამოუკიდებელ, საკუთარ
ფეხზე მდგომ კაცთან ჭაპნის ერთგულად
წევისა. ნუ თუ შემცდარვარ, რაკი

ბ. ფანცხავას ფოთიდგან წასვლის მიზეზად
მთვლიან? ვერ გამიგია კი, რით, როგორ
დამედო ეს ბრალი, როცა ბატ. ფანცხავა-
საც ვურჩევდი, ნუ მიდიხარ, ქუთაისს
ვერას გაარიგებ, ბევრი მოწინააღმდეგე
გაგიჩნდება მეთქი, და მის წამყვანსაც ვა-
ფრთხილებდი, არ გამოგადგებათ: სა-
გუბერნიო ქალაქს, საცა ყოველი გვარი
მთავრობაა თავმოყრილი, სათავეში უდ-
რეკი კაცი კი არა, ღვედივით რბილი
და თან უწყვეტი უნდა იდგეს მეთქი.
ვინ, რისთვის გაჭედა ახლა ეს ჭორი,
ბ. ფანცხავა ფოთიდან განდევნაო, ბ. ურომ
იმას ჰკითხოს, ვინც ის ჩემზე მოიქნია
და ლაფში კი ჩაფლა.

ურომ როდი იცის, რას მოხვდება და
სად დაჰკრავს. საითაც მიიქნევენ მას, იქ
იჩეჩქვს თავს, განსაკუთრებით თუ ქვა
ან რკინა დახვდა. ჩემზე ის სულ ბრმათ
აუცუნდრუკებიათ. „პოლიტიკურ მძოვრს-

ღა წარმოადგენს, ჰკა მაგას, ნუ გეშინიაო.“
მოწინავე წერილიც ასე დააწყებინეს: „ძვე-
ლი მოღვაწეა,“ „თავის რწმენას უღა-
ლატა და უძველეს, რეაქციონურ პრინ-
ციპებს დაუბრუნდა და თაყვანი სცაო.“
ხედავთ სად დაჰკრეს?

ვნახოთ, თუ რა საფუძვლიანად შეუ-
სწავლია ბატ. ურუოს საგანი, რომელსაც
სჯის. ის მესამე ბრალმდებელ
რომელიც ერთ კვირას იქით მეორის
შემდეგ დააბეჭდვინეს ჩემი „რწმენის ღა-
ლატს, რეაქციონურ პრინციპებისკენ და-
ბრუნებას“ აი რაზე ასაბუთებინებენ: „რო-
დესაც (ნიკოლაძე) მთავრობასა და ახალ-
გაზრდობას შორის შუამავლობას კისრუ-
ლობდა, ის აღარ იყო სულით ახალგაზრ-
და... იმისთანა არეულ-დარეული შეხედუ-
ლობა ჰქონდა კონსტიტუციაზეო.“

მართლა ურო უნდა იყოს ამის დამ-
წერი. თვითონ ამბობს, შუამავალი იყოო,

19

და ჩემ შეხედულობას იძევს! ახა, ღმერ-
თო ჩემოს, ვინ შუამავალი და ვინ საკუ-
თარი შეხედულობა? შუამავლის მოვალე-
ობა ის კი არაა, უმანკო შეხედულობა
ჰქონდეს ყოვლისფერზე, ისაა – გონიე-
რად, ერთგულად აასრულოს მონდობილე-
ბა, მნდობელს არ უღალატოს. ამ უკა-
ნასკნელი ექვსი წლის განმავლობაში ბევრ-
მა მცოდნემ და პირუთვნელმა ისტორი-
კოსმა, რუსეთში და საზღვარს გარეთ,
გულმოდგინედ გაარჩია ამ შუამდგომ-
ლობის გარემოება. ყველამ იცნო ჩემი
რიგიანობა და უანგარობა ამ სახიფათო
საქმეში, რომელშიაც უნებურად ჩათრეულ
ვიქმენ. იმ ჩემ აწერაში, რომელიც
„Былое“-მ დაბეჭდა (1906, № 9, გვ.
253), წინასწარ სწერია ბ. ეროს სა-
პასუხო:

„საგულისხმოა, ჩემი საკუთარი რწმენით
ან სურვილით კი არ უნდა მეხელმძღვანა,

20

მხედველობაში ყველაზე უფრო უნდა მქო-
ნოდა აზრი და მოთხოვნა რუსეთის ინტე-
ლიგენციის უმრავლესობისა, განსაკუთრე-
ბით მისი მოწინავე, მებრძოლ ფალანგისა.
ჩემი მდგომარეობის უბედურებას შეადგენ-
და მისი პროგრამის სრული შეუხამებლობა
ჩემს რწმენასთან.“

მეორე ალაგას, 255 გვერდზე, ვწერ-
დი: „ძალა-უნებურად უნდა მეთამაშა პა-
სივური როლი: მარტო იმას უნდა ცდილ-
ვიყავ, რომ რაც შეიძლება უკეთ მხსოვ-
ნებოდა და შემესრულებია მონდობილება.“
ეს ხომ შუამავლის ვალია? ვნახოთ, ახლა,
კონსტიტუციაზე თუ მართლა „არეულ-
დარეული აზრი“ მქონდა, მაშინ? იმავე
255 გვერდზე ვწერდი:

„როცა ჩემს მესაუბრეებს (ახალგაზდო-
ბის წარმომადგენლებს) გაკვირვება განვუ-
ცხადე, რომ რევოლიუციონერების მხრით
ვიწრო სოციალისტურ მოთხოვნას მაბა-
რებდენ, ყოველსავე პოლიტიკურ სარჩულს

მოკლებულს, აღმასრულებელი კომიტეტის

პირველი მარტის შესახებ სახელ-განთქმული წერილის წინააღმდეგ, რომლითაც კონსტიტუციას მოითხოვდენ, ბ. მიხაილოვსკიმ მიპასუხა – პარტია ახლა სხვა აზრის არისო“, და სხვ.

მესამე ალაგას, 256 გვ., იგივე აზრი კიდევ სხვა ნაირად არის გამოთქმული:

„ამ ნაირად გრაფ ვორონცოვ-დაშკოვისთვის ჩემი საკუთარი პროგრამა კი არ უნდა წარმედგინა მოქმედებისა, ის უნდა ამეხსნა, რომელიც რევოლიუციონური პარტიის მხრივ ბ. ბ. მიხაილოვსკიმ და კრივენკომ დამავალეს.“

ეს დაიწერა და იბეჭდებოდა ბ. კრივენკოს სიცოცხლეში. იმავე გვერდზე კიდევ ნათქვამი მაქვს: „მეტად ძნელი იყო ჩემთვის ისეთი მინდობილების ასრულება, რომელიც თვითონ ცალმხრივად მიმაჩნდა.“ ბოლოს ეგევე აზრი, კონსტიტუციის საჭიროებისა, იმნაირად ახსნილი მაქვს 272 გვერდზე, რომ მისი გაუგებრობა ყველასათვის შეუძლებელია:

„გრაფ შუვალოვი როდი მიმალავდა თავის გულნაკლულობას რევოლიუციონურ პარტიაზე. მისი აზრით პარტიამ ვერ გამოიყენა უიშვიათესი შემთხვევა, როცა რუსეთში პ ა რ ლ ა მ ე ნ ტ უ რ ი მ ა რ თ ვ ე ლ ო ბ ი ს დაარსება შეეძლო... მის შენიშვნაზე, რომ მარტო კ ო ნ ს ტ ი ტ უ ც ი ა უნდა მოგვეთხოვა, ვუპასუხე, რომ ს რ უ ლ ი ა დ ვ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ი მ ი ს ა ზ რ ს. საუბედუროდ, საქმე ხომ ჩვენ შეხედულობაზე კი არა, პარტიის მოთხოვნაზე ჰკიდია. პარტია კი სულ სხვაფრივ სჯის ამ საგანს.“

არათუ შუამდგომლობის აწერით, თვით იმ დროის უდავო საბუთით შემიძლია დაგიმტკიცოთ ესვე აზრი. აიღეთ „ Отеч. Зап.“ 1882 წ., წიგნი I, ნაწ 2, გვ. 102 და 103 იქ ნახავთ ნაწერს: ლუი ბლანის უმთავრესი დამსახურება იმ შეცთომის დარღვევაშია, ვითომ სოციალიზმს და უსაზღვრო მონარქიას ერთად არსე-

ბობა შეეძლოსთ. აქედამ სჩანს, რომ კონ-
სტიტუცია აუცილებელი მიმაჩნდა.

ყველა ეს საბუთი იმისთვის მომყავს,
მინდა იმ მხილების უსინიდისობა დავამ-
ტკიცო, ვითომ შუამავლობის დროს კონ-
სტიტუციისთვის მეღალატოს. ეს მეორე
მოქნევა ურისი ვის მოხვდა თავში და
ვის ვნებს, მკითხველი კარგად ხედავს.

III.

ვნახოთ, ახლა ვის უპობს თავს ბ. ურის
მესამე ამართვა, იმის შესახებ, თუ რამ ამაღებინა
ხელი
წერაზე. აი, როგორ სჯის ამ საქმეს ბ. ურო.
„ჯერ გაზეთის (ნოვოე ობოზრენიის)
დაწყების დღესვე განაცხადა (ნიკოლაძემ)
თავისი შერიგება არსებულ წესწყობილე-
ბასთან და შემდეგ გამოუცხადა ულმობელი
ბრძოლა რკინის გზის მთავრობას, ვიდრე
ადგილი არ ჩაიგდო ხელში რკინის გზაში-
ვე. მას შემდეგ ლიტერატურას თითქმის
სულ მიანება თავი... მასუკან მისი მიზი-
დულობა ფულიანი ადგილებისკენ კიდევ

უფრო იზრდებოდა. როტშილდს დაექირავა
და შემდეგ ფოთის ნავსადგურების აშენება-
ში მიიღო მონაწილეობა“.
მადლობა ღმერთს, მწერლობა უმოწმო
მუსაიფი როდია. სამუდამოდ რჩება სა-
ბუთი – გაზეთის კოლექცია. შიგ „არ-
სებულ წესწყობილებასთან შერიგება“ მარ-
თლა რომ სადმე იპოებოდეს, ჩემ წინა-
აღმდეგებს ამდენი ცილის თხზვა რაღათ
დასჭირდებოდათ? ვინც ჩემი დროის „ნო-
ვოე ობოზრენიეს“ გადაათვალიერებს,
დარწმუნდება, რომ შიგ ულმობელი ბრძო-
ლა არა მარტო რკინის გზასთან მქონდა,
ჩვენი საქმის და სარგებლობის საცავად,
აგრეთვე ცხარედ ვებრძოდი სასამართლოს
– ენისათვის, სასწავლებელს – სწავლის ში-
ნაარსისთვის, საზოგადოთ „მართვის სწა-
ვლას“ ვთესდი და თვით-მმართველობას
ვწვრთნიდი. ჩემს მაშინდელ ბრძოლას

ბ. შავროვთან და საზოგადოთ ბ. ტებენ-
კოვის „კავკაზთან“ პირადი, თუ ეროვ-

ნული ხასიათი ჰქონდა? ჩემი „ნოვოე
ობოზრენიეში“ შრომის დასახასიათებლად
ერთ პაწია ნაწყვეტს მოვიყვან იმ ნაწე-
რებიდგან, რომელიც ბ. ურუს უნდა წაე-
კითხოს: „ხოლერაზე.“ აი, როგორ იწ-
ყება ამ სათაურით ჩემი ნაწერი (№ 2952,
26 ივლისს 1892):

„ხოლერით – როგორც ყველა სხვა თანა-

მედროე კითხვებით – სტამბაში უმთავრესად
იმ მიზნით ვსარგებლობ, რომ მოვლენა,
რომელსაც ახლა განსაკუთრებით მიუპყრია
ხალხის ყურადღება, გაკვეთილად ვაქციო
ჩვენი თვით-მართველობის სვლისა და მდგო-
მარეობის გასაუმჯობესებლად.“

თუ ჩვენს მწერლობას ოდესმე ჭკუიანი
კრიტიკოსი ეღირსა, ის დაამოწმებს,
რომ მარტო აი ამ კლიტით შეიძლება აიხ-
სნას მთელი ჩემი მოღვაწეობა, დასაწყისიდ-
გან დღეის-დღემდე. ამ ახსნას კრიტიკოს-
მაც იქნება ესეც დასძინოს: „რა ყრუობა
ყოფილა იმ დროს, თუ მწერალს თვითონ-

ვე უნდა ეხსნა თავის მიზანი! საცა მო-
ღვაწე იძულებულია იყვიროს – მტერს აი
რა მახეს ვუგებო – იქ აბა რა სიმაგრე
აშენდება ამ საფუძველზე, რა საქმე
დაგვირგვინდება? „ისიც დაუმატოთ: ამა-
ებს ვბეჭდავდი 1892-ში, სწორედ იმ
ხანას, როცა ბატ. ვიტტე მოხსენებებს
სწერდა „ან თვითმართველობა, ან თვით-
მპყრობელობაო.“ ეს უნდა მეყოს პასუ-
ხად იმ რეგვნებისთვის, ვინც ახლა ბ. ურუს
აწერინებს, ნიკოლაძე „ბიუროკრატიას
თაყვანს სცემდა, ბიუროკრატიას გარეშე
არაფერი სწამდაო“. ვისაც წარსული არ
შეუსწავლია და პირუტყვივით ჰგონია,
რომ ქვეყანა მით დაწყებულა და მითვე
გათავდებაო, მას რა უნდა გაეგებოდეს, თუ
როგორ შეიქნა ის ძალა, ის იარაღი, ის
სიკეთე, რომლითაც ის ახლა სარგებლობს
და ბორორტ-მოქმედებს?

მეორე ცილი ამ ნაწყვეტისა, „ულმობელი ბრძოლა გამოუცხადა რკინის გზას, ვიდრე ადგილი არ ჩაიგდო ხელში რკინის გზაშივეო“, – ნამდვილი ბოდვაა. რკინის გზაზე ვმსახურობდი პეტერბურგს 1881-დან 1886-მდე. „ნოვოე ობოზრენიეს“ კი ვსცემდი თფილისს 1887-დან. ბ. ურო ვერსად მოძებნის საბუთს, ვითომ ამ წლიდგან რამე დამოკიდებულება მქონოდეს რკინის გზასთან. ვინ ჩაფლა ან რისთვის ჩაიფლა ბ. ურო ამ მყრალ ტლაპოში, თითონ იძიოს.

მესამე ცილიც ამის ტოლია – „მიზიდულობა ფულიან ადგილებისკენ.“ თუ კი რადისმე დამჭირვებია, ყოველთვის მიშოვნია ისეთი კარგი „ფულიანი ადგილი“, როგორიც სხვას ჩვენში სიზმარშიაც არ ელანდება, სჩანს მწერლობა, საზოგადო მოღვაწეობა ჩემთვის ხელობათ არასოდეს ყოფილა. უსახსრობის გამო, ლუკმა

პურისათვის კი არ ამიღია ხელში კალამი. წრფელი გულით ვემსახურებოდი, სანამ მაცალეს, ჩემი ქვეყნის წარმატების ღმერთს, როცა ის ყოვლად უსუსური, ყველასგან მიტოვებული იყო და თავის მსახურისთვის დარდის და ტანჯვის მეტი არაფრის მინიჭება შეეძლო. რაც რამ მქონდა და არ მქონდა არ მეშურებოდა მისთვის, სანამ უძლური და უსახსრო იყო. რაკი მოსულდგმულდა, მსახურების ამაღლება შეიძლო, მლიქვნელები შეიძინა, ვერავინ მიზრახავს, მოჯამაგირეთ რომ სხვას დავუდგე, სანამ არ დამიმტკიცებს ამ მოჯამაგირეობის ვნებას ჩემი ქვეყნისთვის. ჩემდა თავად კი გაგიმხელთ: მწარე გამოცდილებამ დამარწმუნა, მლიქვნელებთან თანამშრომლობას ისევ როტშილდთან მოჯამაგირეობა სჯობნებია თურმე, არა თუ პირადათ ჩემთვის, ჩვენი ქვეყნისთვისაც. ყოველ შემთხვევაში ამ

მოჯამაგირობისთვის ჩემი ჩაქოლვის უფ-
ლება მარტო იმას აქვს, ვინც ჩემ ალაგს
დაიწუნებდა, და არა ბ. უროს, რომელ-
საც ჯერ საქმით ვერავინ შეწამებს, რომ
„ფულიანი ადგილებისათვის“ მას წიხ-
ლი ეკრას.

„მწერლობაზე ხელი აიღოო, რაკი
ფულიანი ადგილი იშოვნაო“. კარგად არ
გაუცვნია მწერლის მოვალეობა იმას, ვინც
ამას მაყვედრის? დიაღაც, ისეთი მოწიწე-
ბით ვეპყრობი მწერლის დანიშნულებას,
რომ ყოველთვის, როცა ან რკინის გზის,
ან მრეწველობის, ან ქალაქის სამსა-
ხურს ვკისრულობდი, უაღრეს მოვალეობად
ვთვლიდი მწერლობაზე ხელი ამეღო. ორ
ღმერთს ერთსა და იმავე დროს კაცი ვერ
ემსახურება. ყველა იმ დაწესებულებას,
ვის სამსახურში შევდიოდი, ვუცხადებდი:
მიქირავებია თქვენთვის ჩემი შრომა და
ცოდნა და არა მწერლური გავლენა მეთქი.

მწერლობის და მკითხველის საზოგადო-
ების წინ ჩემი დუმილი იმას მოასწავებს,
თუ რა მორიდება მაქვს მომავლის, რა წმინ-
დათა-წმინდათ ვთვლი მწერლობას. ვე-
რავინ მოძებნის სტამბაში ვერც ერთს
სტრიქონს, ჩემგან დაწერილს, რკინის-
გზის, ან როტშილდის, ან ფოთის სა-
ქმეების დამცველს ან მადიდებელს, სა-
ნამ ამ საქმეებს ვემსახურებოდი. გარდა
იმ იშვიათი შემთხვევისა, როცა რამე
უშვერი ცილი თავიდან უნდა ამეცილებია.
და ამ დუმილს, ამ მსხვერპლს, ბრალად
მდებენ ჩვენი მწერლები!

რისთვის არ ვწერდი, სანამ სხვა რამე
საქმეს ვემსახურებოდი, ხომ ნახეთ. მო-
გახსენებთ ახლა, რა მიზეზით მომიხდა
სხვა რამის სამსახური, როცა მარტო
მწერლობისთვის ვიყავ შექმნილი, დამ-
ზადებული, გატაცებული. ორჯერ აწერი-
ლი მაქვს ჩემი მწერლობისგან გადად-

გომის მიზეზი: ქართულ მწერლობიდგან
– „დროება“-ში (1876) და რუსულიდგან
– „ნოვოე ობოზრენიე“-ში (1891). მო-

კლედ გიამბობთ ჩემი დროის ქართველ
მოღვაწის გასაჭირს: იქნება მით მომა-
ვლის საქმე გაადვილდეს.

მთქმელს გამგონი უნდა. როცა ჯე-
როვანი ურთიერთობა არ მყარდება ამ
ორ მხარეს შუა, წვალებას გაცლა სჯობს.
ნამეტანი ვიმეცადინე მწერლურ ასპარე-
ზისთვის მზადებაში. ამ მიზეზით მიჭირ-
და და ახლაც მიჭირს, საერთო ხოროსთვის
ბანის მიცემა. როცა ქართულ მწერლო-
ბაში გავები, მის თარს მარტო ერთი სი-
მი ება, შიგ მარტო ერთი, დიახ, სწორი,
მაგრამ ერთობ ცალმხრივი, დედა-აზრი
სუფევდა. ჩვენს განვითარებაში ის (კეი-
სრისა კეისარსა!) 1830 წლის მოძრა-
ობას შემოეტანა და გრიგოლ ორბელიანს
დაემყარებია: დედა-ენის დაცვა. 1860 წ.

მოძრაობამ ამ საქმეს ახალი მსახურები
მიაშველა: სტამბა, შკოლა, სახელმძღვა-
ნელო. ჩემმა დამზადებამ დედა-ენა, მიზ-
ნად კი არა, მარტო ერთ იარაღთაგა-
ნად მაჩვენა ერის კეთილდღეობისა. მეს-
მოდა, არა მარტო ენით იკვებება ხალ-
ხი. ქართული ენა სისრულით ხელთ-ეპ-
ყრა ჩვენს ერს, როცა მეთექვსმეტე, მე-
ჩვიდმეტე და მეთვრამეტე საუკუნოებში
თითოეულად შემოეცალა ყოველივე ის,
რაც ეროვნებას შეადგენს. მაშ, არც მარ-
ტო ენა აღადგენს ამ ეროვნებას მეთქი,
ვფიქრობდი. საჭიროდ ვთვლიდი შემეძ-
რა ის ცხოველ-მყოფი ძალები, რომლის
მოქმედება და ურთიერთობა ერს ზრდის,
ამაღლებს, აძლიერებს. შევეხე ეკონომი-
კას, კრედიტს, მრეწველობას, მიწის-
მფლობელობას, და თვით-მართველობას.
ძველი მოღვაწეების ნაშრომის შესწავლამ
ნება მომცა მკვდრეთით აღმედგინა ბო-

ბოლაებისგან დამარცხებული და დამარ-
ხული საქმეები და მოქმედი პირები, მა-
გალითად ყველასგან ერთიანად დავიწყე-
ბულ საადგილ-მამულო ბანკები. ბ. გი-
ორგი ყაზბეგს ჰკითხეთ (დამფუძნებელთა-
გან ახლა მეტი არავინ მეგულება ცოც-

ხლებში), რამდენჯერ დაგვჭირდა დუშეთს ასვლა 1871 – 1873 წ.წ., რამდენ ყმაწვილს, რამდენი მეცადინეობა დაგვჭირდა, რომ ილია ჭავჭავაძისთვის სახელმწიფო სამსახურზე ხელი აგვეღებინებინა, ბანკის დაარსება იერიშით აგვეღო, ბანკი განახლების ბანაკად გვექცია და შიგ ჭავჭავაძე ძალდატანებით ქართული საქმის სათავეში ჩაგვეყენებია. თფილისის ქალაქის თავად სომხებს დიმ. ყიფიანი ავარჩევინეთ. ქუთაისს, გრ. ლევაშოვთან აუწერელი ბრძოლის შემდეგ, თვით-მართველობა შემოვაღებინეთ. ქართველობის ასპარეზი ხუთიოდე წელიწადში უცნობათ გავაფარ-

თოვეთ. რასაკვირველია, ახალი საქმეების აღძვრას მოჰყვა შეტაკება სხვა და სხვა აზრებს, ინტერესებს, თავმოყვარეობათა შორის. ეს „ალიაქოთი“ სულ მე დამბრალდა. ვინც დედა-ენის მეტს არას იცნობდა, დამემდურა, ძალას უსარგებლო საქმეებზე გვაფლანგვინებსო. შკოლის მეტი აღარა გვჭირია რაო. ყველა ეს ხიზნის, ბანკის, თვითმართველობის საქმეები ქართულ ერთობას არღვევენო. გაგონილა ქართველობაში ასეთი შფოთიო? გამოველ „შინაურ მტრად.“

დავღუნე თავი, მოვშორდი ქართულ მწერლობას. მუდამ ერთ სიმზე ჟღერა ვის არ მობეზრდება? ვიფიქრე: შინაურ ბრძოლას სჯობს სხვა სარბიელი მოვიძებნო მეთქი. რაკი უმეტესი ნაწილი იმ საქმეებისა, რომელზედაც ჩვენი ქვეყნის ბედი ჰკიდია, რუსის მთავრობის ხელშია, მოდი რუსულად ახსნას დავუწყებ ჩვენს

გასაჭირს, იქნება ამით ვისმე ვარგო მეთქი. ბევრი კითხვა აღმიძრავს ამ ნაირად. ვერავინ ვერაფერს გამოძებნის ამ ნაშრომში ჩვენი ქვეყნისთვის ურგებს ან სახიფათოს. მაინც, როცა ხიზნების, მიწის მფლობელობის მოწესრიგებას ვიკვლევდი მთავრობისთვის, ქართულმა მწერლობამ მიკიჟინა (1878 – 1880): ორად ჰყოფს ქართველობასო, სრულიად დავა-

ნებე თავი იმ კითხვებს, რომელნიჩ წო-
დებათა ურთიერთობას შეეხებოდნენ. სრუ-
ლიად დავივიწროვე მოქმედების ფარგალი,
ვეხებოდი მარტო იმ საქმეებს, რომელ-
ნიც არავის წინააღმდეგობას არ უნდა
იწვევდენ: გზებს, არხებს, პორტებს,
ვაჭრობას, მრეწველობას, ჯანმრთელო-
ბას, თვითმართველობას. ჩვენში ესეც
არავის ეპიტნავა. „რა გენაღვლებაო –
ყველა მხრიდამ მოისმოდა – ქვანახშირი,
ნავთის საქმე, შავიქვა, რკინის-გზა, მი-

წა-წყალი, ბანკები, ვაჭრობა, მრეწველო-
ბა, თვითმართველობა ვის ხელშია და რა
მიმართულებისაო?“ ზოგს მარტო დედა-
ენაზე წერა ესმოდა, ზოგი მარტო იმას
აფასებდა, თუ ბწკრებს შუა პოლიციელის
გაწკეპლვას ამოიკითხავდა. ამაგი, შრომა
არ გადიოდა. მთელი თვეობით უნდა ეს-
წავლა, ოფლი ედინა კაცს საქმის საკვლე-
ველად, სახსრის საპოვნად, და ათასს
ამისთანა სიკეთეს ერთი ყოვლად უბრალო
ფეხის-წაკვრა აჭარბებდა. აზრს ვერ იგებ-
დენ ან განზრახ ასხვაფერებდენ, და მთე-
ლი წლობით ცილს თუ შეცთომას იმეორე-
ბდენ: „არსებულ წესწყობილებასთან შერი-
გება გააცხადაო“, „ტიხომიროვი აქოო!“
სხვა ანგი მათ ყურს არ ესმოდა, მღა-
ღადებლის ხმად რჩებოდა უდაბნოში.

დავფიქრდეთ ახლა. იმ დროს რომ
ჩემსას გაეჭრა და ეს სავარამო კითხვები
საბოლოოდ გადაგვეწყვიტა, მოუხდებოდა,

თუ დააუძლურებდა ეს ქართველობას? რა
„ერთობა“ ყოფილა ჩვენში, 1905-მა
გვაჩვენა. ჩემ რჩევას რომ აჰყოლოდენ
1871 – 1880-ში, სულ სხვა გავლენა
ექნებოდა „განმათავისუფლებელ მოძრა-
ობას“ ქართველობის პოლიტიკურ ბედ-
ზე. ერთაზროვანს, ერთბანაკად მდგომს
ერს რა არ გაუვიდოდა? ჩვენ კი ამ
პსიხოლოგიურ ხანაში ერთმანეთს შევე-
სიეთ და შევაკვდით, ერთმანეთი გავაბა-
თილეთ. ყურადრებას ვინღა მოგვაქცევდა?
მტერ-მეზობელი ყველა იმას ლოცულ-

ობდა: „წამკიდებელო წაკიდე, ორივეს
თავი წაწყვიტეო!“ მტრის გულისა გავ-
ხდით, მიტომ, რომ თავის დროზე ურ-
თიერთობა ვერ მოვიწესრიგეთ.

რაგინდ მებრძოლი ტემპერამენტი მქო-
ნოდეს, რაგინდ მართალი ყოფილვიყო,
უნდა მოვრიდებოდი ახალთაობასთან ბრძო-
ლას, ასეთ შემთხვევაში თვით გამარჯვებაც

დამარცხებაა იმისთვის, ვინც ქვეყნის სი-
კეთეს პირად თავმოყვარეობაზე მაღლა
სთვლის. ახალ-თაობისთვის ამგვარი შეც-
თომა იმნაირადვე აუცილებელია, როგორც
მოზარდ ბავშვისთვის სხვა-და-სხვა „ასა-
კის სენი“: კბილების ჭრა, წითელა,
ყვავილი, ქუნთრუშა, ცუდ-ყვავილა. მათი
ერთად ერთი წამალი დროა, სიცხის გა-
მომნელებელი, სისხლის დამწმენდი, ბო-
დვის, შფოთვის მომსპობი, ჭკუაზე მომ-
გვრელი. როცა ერთი ამგვარივე ჭირი –
სენტიმენტალიზმი – ლესსინგის დროს
გერმანიას მოედო, ამ მოღვაწემ გარკვე-
ულად დაინახა, რა ზიანი ეძლეოდა ამით
მის დიად ნაშრომს, მის უბედურ სამ-
შობლოს. მაგრამ მაინც გულხელი დაი-
კრიფა და ახალ-თაობასთან ბრძლის ამა-
ოება გვამცნო. „ოცნებით დამთვრალ ჭა-
ბუკსო – ამბობდა – ვერავითარი რჩევით,
წყრომით, ძალით ვერ შეაგნებინებთ მის

იმედის სიფუჭეს. უნდა მის ნებაზე მიუ-
შვათ. დაე თავად დარწმუნდეს, საქმით,
რომ ვერც ხტომით, ვერც ხერხით,
ვერც ბღავილით მთვარე ციდამ მიწაზე
ვერ ჩამოსვენდებაო!“

არა თუ ბ. უროს, სისხლის-მსმელ
მტერსაც არ ვუსურვებ ამისთანა ბედს,
რომ ჯანით და გრძნობით სავსე ადამიანი
იძულებული იყოს ცოცხლად თავი დაი-
მარხოს მომავლის სიყვარულისთვის, იმ-
ოდნად მძიმე და აუტანელია ეს მსხვერ-
პლი. ხელს არავის ვუშლი, გზაზე არვის
ვეღობები, არვის ოცნებას არ ვებრძვი,
გულწრფელად ვნატრობ კიდეც: ღმერთმა

ჰქნას ჩვენმა ხბომ დათვი დაიჭიროს
მეთქი, ამ დუმილს, ამ თავის-კვლას
არათუ არავინ მიმადლის, პირიქით, მა-
ყვედრიან! ხმას ძალად რომ ამომაღები-
ნებენ, უარესად მემდურიან, თავისას რათ
ამბობს, რატომ არ გვეთანხმებაო. თავი-

სუფლების, დამოუკიდებლობის მცველები
ვართო, და იმის ნებასაც არ მაძლევენ –
გულში დამარხული მქონდეს საკუთარი
აზრი. უნდათ, მეც ისეთ მჩვრად მაქცი-
ონ, რომელიც ბრბოს ფეხის ხმას მიზ-
დევს, იქნება წინამძღვრად ჩავითვალოო.
ნურას უკაცრავად: სამსახურს თამაშად
ვერ გავხდი!

IV.

გავიდა კიდევ ოთხი დღე. „პოლი-
ტიკური მძოვრი“ ფეხზე დგას, კი-
დეც დაიარება წყეული. ორივე ხელით
ამართეს ხელ-ახლავ ბატ. ურო, მეოთხე
ოქმი გამოახოხორიკებინეს, ამ სათაუ-
რით: „ნ. ნიკოლაძის მსოფლ-მხედვე-
ლობა.“ შიგ თხზავენ და მაწერენ ისეთ
აზრებს, რომელნიც არც ერთ ჩემ ნა-
წერში არ მოიპოვება. რაღა თქმა უნდა,

ბ. ურო ადვილად ანგრევს მისგან გაჭე-
დილს. თუ ფოთიდგან მიწოდებულ სი-
ცრუეს.
ძირეული შეცდომა ბატ. უროსი, რო-
გორც მთელი მისი პარტიისა, ის არის,
რომ მათი პოლიტიკური მოაზრება მეტა-
ფიზიკაზეა აშენებული. აიხირებენ რაღაც
სურვილს, საკუთარ გემოვნებაზე არჩე-
ულს, და რომელსაც მოიწონებენ „პრინ-
ციპს“ არქმევენ, ხატად იქცევენ, თაყვანს
სცემენ. დარწმუნებული არიან, ეს თი-
ლისმა ყოველთვის, ყოველგან, ყოველ
შემთხვევაში ერთნაირად სასწაულს მოა-
ხდენსო. რეალურ პოლიტიკას კი არც
ერთი ამგვარი ავგაროზი არ სწამს და
ეს ძველთა ძველი რწმენა დიდი ხანია
არხივებში დაუმარხავს, როგორც გამო-

უცდელი გონების ბავშვური შეცდომა. ძველებურ სხოლასტიკით ბატ. ურო მა-
ბრალებს – ნიკოლაძე ბრძოლას, ამბოხე-

ბას, ავტონომიას, რესპუბლიკას უარ-
ჰყოფსო. ამის თქმა ამტკიცებს მის ერ-
თიან ჩამორჩენას თანამედროე მეცნიე-
რებისგან. განა პოლიტიკაში შესაძლოა
რისიმე ან უარჰყოფა, ან ახირება? სწო-
რე ცოდნას აღარც ერთი საშუალება არ
მიაჩნია ისეთ „ცხოვრების ელექსირად,“
„ფილოსოფიურ ქვად,“ რომლის მიკა-
რება ვყელაფერს კურნავს ან ოქროდ აქ-
ცევს. გონიერ ექიმს ჰკითხეთ, აბა: ქინა-
ქინას უარჰყოფთ, თუ თაყვანს-ცემთთქო?
შებრალებით შემოგხედავსთ, და იმ კი-
ლოთი, რომლითაც თოთო ბავშვს რასმე
უხსნიან, გიპასუხებთ: ზოგიერთ ავათ-
მყოფობას უხდება ხოლმე, ზოგს სხვას
სწყენს, ზოგისთვის საწამლავიც არისო!
მიდით, ინჯინერს ჰკითხეთ უროზე რა
შეხედულობის ბრძანდებით თქო? მობ=გი-
გებთ: მარჯვე ოსტატის ხელში კაი მო-
გეცესთ, კარგი იარაღია, მაგრამ ბალღს

თე საცელქოდ გაუხდა, თავსაც გაუ-
რეჯგვსო. ომის კაცს, დიპლომატს მი-
მართეთ: ბრძოლას რა თვალით უყურებთ?
– ღონიერისთვის, დაიარაღებულისთვის
ჩინებული საშუალებაა ხან-და-ხან; სუსტის-
თვის კი – მტრისას იყოს – ავია. ვინც
ძალის უქონლად ძალას ხმარობს, ძალითვე
წაწყდებაო.

რევოლიუციასაც ამგვარათვე სჯის თა-
ნამედროე მეცნიერება. მშვენიერი, აღ-
მტაცი, ამშენებელი მოვლენა იყო 4
სექტემბრის 1870 წლის რევოლიუცია
საფრანგეთში. ქვეყნის დამღუპავი მართე-
ბლობა ექვსი საათის განმავლობაში ნაგა-
ვივით მოხვეტა ხალხმა, და მის მაგიერ
იმ წამსვე ახალი დაადგინა, რომელსაც
მთელი ერი, რჯულის, მოდგმის, წოდე-
ბის, პარტიების განურჩევლად, გაჰყვა
როგორც ერთი ადამიანი. ასე მოხდება ხო-
ლმე საცა ხალხი მოწიფებულია ცვლილე-

ბისთვის. მეორე რევოლიუციასაც დაეს-
წრო ჩვენი თაობა, ჩვენზე უფრო ახლო,
ოსმალეთში. მოგეხსენებათ მისი შედეგი:
რამდენი კაცი იმსხვერპლა თავად ცვლი-
ლებამ, რამდენი ჩამოარჩვეს მის შემდეგ.
მას აქეთ ხუთ წელიწადს არ გაუვლია
ჯერ, და ოსმალეთმა ტრიპოლი დაკარგა.
იტალიასთან კი არა, სულ წვრილმან, სულ
თოთო სახელმწიფოებთან ომი წააგო.
რაც ევროპაში რამე მოეძეოდა – მტერს
დაანება. ზღვაზე უფლება ხელიდან გაუ-
შვა: ისეთი კუნძულები ვერ დაიცვა, რო-
მელნიც მის ძლიერების ჭიშკარს შეა-
დგენდენ. მას არათუ ქრისტიანები ჩამო-
შორდენ, თვით მაჰმადიანებიც აუჯანყდენ.
არაბეთი მოსცილდა, ალბანეთი განზე
გაუდგა. აქიდგან სჩანს, რომ რევოლიუ-
ციაც – ქინაქინის არ იყოს – ზოგან რგებს,
ზოგჯერ ვნებს. საფრანგეთში გამოდგა,
ოსმალეთში არა. არ გამოდგა მიტომ, რომ

ხალხი დაუმზადებელი ყოფილა ცვლი-
ლებისთვის, მორიგ საქმეებზე ერთი აზ-
რი, ერთი რწმენა მას არ ქონია. ისე
აწეწილი ყოფილა შინაურობაში, რომ
მთელი თავისი ძალა საურთიერთო ბრძო-
ლაში უნდა დალიოს. ამგვარ ქვეყანას
რევოლიუცია არა თუ არას რგებს, ერთი-
ანად ღუპავს. ამავე მდგომარეობაშია სპარ-
სეთიც და თვით ჩინეთის რესპუბლიკაც.
რომელსაც ბ. ურო ცხვირში მჩრის ავ-
ტონომიის სიკეთის საბუთად. ეს რეს-
პუბლიკა ჯერ არ დაარსებულა, და აღმო-
სავლეთით მანჯურია დაკარგა, ჩრდილო-
ეთით – მონგოლია, სამხრეთით ტიბეთი,
დასავლეთით – კულჯა. ზღვის გაღმა კი,
ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატებ-
ში, რესპუბლიკამ თავისი ქვეყანაც გააბედ-
ნიერა, ხალხიც გაამდიდრა, კაცობრიობაც
აამაღლა. ასე, ჩემო მანასე, ხან ისე და
ხან ასე ხარობს ყველაფერი ქვეყნიერე-

ბაზე. თილისმა ოცნებად გამოდგა.

აი ამ ორი მოაზრების წინააღმდეგობაზე – თილისმის მორწმუნეს და თანამედროვე ცოდნას შუა – დამყარებულია ბ. უროს გაუგებრობა ჩემი პოლიტიკური მსოფლ-მხედველობისა. სწორი ცოდნის მიმდევარს როგორ შემეძლო ბრძოლის, ავტონომიის, რევოლიუციის ან რომელიმე სხვა საშუალების ან უარჰყოფა, ან დაჟინება? განა ავტონომიის უარჰყოფაა მე რომ დავწერე: „საქართველოს და რაპა-ნუის კუნძულს ერთი და იგივე წესწყობილება არ მოუხდება“ მეთქი? ეს მხოლოდ შედარებით კვლევაა იმისი, თუ როგორ მოუხდება ეს წამალი ჩვენს აგებულობას და ავათ-მყოფობას. რაპა-ნუის ყველა გარეშე მტერებისაგან თავის დასაცველად წელიწადში სამი მანეთი ჰყოფნის, დროშის და მისი ამწევი თოკის საცვლელად. მას დიდი, უსაზღვრო ოკეანე

იცავს ყველა მხრით. საქართველოს კი რა უჯდებოდა საჭიროება, მის თვითარსებობის მატიანეებს მიაკითხეთ. იქ ნახავთ, რომ ჩვენი ერის ძალა და ქონება ვერ აუვიდა ამ გასაჭირს. ეს ზარატუშტრას ნაბოდავი კი არა, ისტორიული ფაქტია. ათასნაირად შეიძლება მისი დამტკიცება: ზომვით, კვლევით, ანგარიშით, შედარებით, ნაამბობით, ნაწერით. ვინ გააქარწყლებს ამ ცხოვრების დასკვნას, ამ სინამდვილის ნაყოფს, ცარიელი „არ მინდა“, „მირჩევნია“, „მოვითხოვ“-ით? მოგახსენოთ, „მოთხოვნებზე“ რას ფიქრობს მეცნიერება? მოთხოვნა ქვეყანაზე მაშინ მიიღებაო პატივდებაში, როცა, უარი რომ გითხრან, ძალით შეგეძლებაო ნათხოვნის მიღება. ამის გამო სანამ სურვილს გამოთქვამდე, აწონ-დაწონილი უნდა გქონდეს თავისი და მოპირდაპირის გარემოება, როშ სირცხვილში არ ჩავარ-

დე, რაც გაბადია, ისიც არ დაკარგო. ცოტა მომთხოვი გვინახავს, განა, ეთქვას, ნეტა მიწა გამსკდომოდა, და ხმა

არ ამომეღოო? შორს რომ არ წავიდეთ, აბა ბათუმელ მუშებს მიაკითხეთ, ნავთის ქარხნებში რომ მსახურებდენ, მოგებუ-ლი თუ დაქცეული დარჩა ჩვენი მხარე მათ წინდაუხედაბ მოთხოვნებისგან? ეს პაწია მაგალითი მომყავს, რომ უდიდესით გული არ გაგიხეთქოთ, თორემ უცრემ-ლოდ ვერც მე შემძლებია მეკითხა: რაც ამ უკანასკნელ წლებში „მოთხოვნათა-თვის“ მსხვერპლი შევწირეთ, იფარება, ვითომ, ნაშოვნით? ამ ნაშოვნის მეტი განა მუქთადაც არ გვეძლეოდა? ის მსხვერ-პლები რომ გონიერად გვეხმარა, განა დღევანდელ გასაჭირში ვიქნებოდით? ან ვის არგო ჩვემა მსხვერპლებმა: წინ-სვლას, თუ შავრაზმელებს?

მხეცისაგან ადამიანი მით ირჩევა, რომ

ანგარიშს სჩვევია. ხარჯს შემოსავალს ადა-რებს. საქმის დაწყებამდი ცდილობს წარ-მოიდგინოს მისი ავი და კარგი. წიწი-ლისთვის ხარს არ გასცემს. გონიერი ადა-მიანის ამ მარტივ თვისებაზე დამყარე-ბულია ახლანდელი მეცნიერული ეკონო-მიკა და პოლიტიკა. უწინ სხოლასტები ქვეყანას რომ აოხრებდენ, ხალხს წყვწტ-დენ, ოღონდ კი ეიძულებიათ ორი თი-თის მაგიერ სამით ეწერა პირჯვარი, ახლა ასეთ ფუჭ „პრინციპებს“ აღარა-ვინ სწირავს ადამიანის სიცოცხლეს, თუ თავისუფლებას პირდაპირი, რეალური სარ-გებლობა არ უძევს. ის ხანა გაჰქრა გონიერ ქვეყნებისთვის, როცა ცარიელი ოცნების გულისთვის ძმა-ძმას ჰკლავდა. საარაკო მისათითებლად გაუხდა კაცობ-რიობას ბიზანტიელების დაბრმავება. ერთ-მანეთს დოგმატებზე რომ ედავებოდენ, იმას კი ვერ ხედავდენ – მამადიანები ჭიშ-

კარზე საიერიშოდ ედგათ. დროა ჩვენც ავიხილოთ თვალი სინამდვილეზე, სიზმ-რის თვალთმაქცობისაგან თავი ვიხსნათ, იმის გარჩევა ვისწავლოთ, თუ ჩვენს გარ-შემო რა ამბავია, რა ნამდვილი წამალი უშველის ჩვენს ჭირს? თვლ-უწვდენელ

ოცნებას ეს მცირე ამაგი სჯობია.

V.

სამი მტერი ჰყავს ქართულ განვითარებას. ერთი – საკუთარი მწერლობის აზრის სივიწროე, თუ ინერცია გახლავსთ. მარტო ის სწამს და ახსოვს, რასაც დიდი ხანია შეჩვევია. დედა-ენის მეტი თუ რამ სჭირია ერს, ბევრს როდი ესმის. მეორე უბედურება ის გვჭირს, რომ ოჯახი, შკოლა ჯერ როდი გვაძლევს საკმაო მომზადებას. ამის გამო სხვის ლიტერატურაშიაც უფრო მჩატეს, შემცდარს, შეშლი-

ლსა და უვიც მწერლებს ვეწაფებით, ვინემ თანამედროვე ცოდნით დაიარაღებულს. მესამე, ორივეზე უფრო მძიმე გასაჭირი ისაა, რომ ვისაც ჩვენში ღირსებია ნამდვილი განათლების, სწორე ცოდნის, შეძენა, ის როდი ეკარება ჩვენს მწერლობას, ან ჩვენს საზოგადო საქმეებს. ამ მიზეზით ესენი თითქმის ერთიანად ერთობ დაუმზადებელ „მეთაურების“ ხელშია. სულ ცოტა, ცოტა, ჩემ დროს ათას კაცს მაინც გაუთავებია ჩვენგანს უმაღლესი სასწავლებელი. სადაა მათი გავლენა ხალხის აზროვნებაზე?

ისინი, თუ უვიცები, წინამძღვრობდენ არეულობის დროს, როცა ერის საქციელი მის ბედს სწყვეტს მთელ მომავალ საუკუნისთვის? გაიხსენეთ ჩვენი, საზოგადოთ, იმ დროის ამბავი: მოდიოდენ ჩვენში მეთავურად ვიღაც სრულიად უცნობი და უზრდელი კინტოები. არავინ იცოდა,

თუ ვინ იყვნენ, საიდან მოსული, რა რჯულის ან აზრის, სახელი რა ერქვათ, გვარი მათი რა იყო, როგორი წარსული ჰქონდათ. „ამბოხება დავიწყოთო“, დაიძახებდენ და ყველა მათ გაჰყვებოდა, თითქო თხას – ცხვრის ფარა. ჭკუაში არავის მოსვლია, მოეთხოვა მათგან ან ახსნა, ან ცოდნა, ან სიმტკიცე. იფარფაშებდენ, სანამ გასაჭირი არ მოახლოვდებოდა და

მაშინ კი მოქუსლავდენ და გაჰქრებოდენ.

გინახავთ სადმე სხვა ერი, ასე მჩატედ რომ გაჰყოლოდეს პროვოკატორს, რომელიც ახლა, იქნება მთავრობას არწშუნებდეს, ქართველი ერი სულ ბუნტის თავია, კაცი მას ვერ ენდობაო. სად გაჰქრა იმ დროს ნასწავლი ხალხი, რათ გაჩუმდა, რატომ თავისი მოვალეობა არ შეასრულა ერის გაფრთხილებისა, ხელმძღვანელობისა, თვალის ახელისა? აი ამ ჩვენებურ ცრუ ამბოხებაზე მითქვამს, სისულელე

გახლავს მეთქი. ბატ. ურო კი მიწერს ამბოხება სძულსო. დიაღაც მეძულება ყველაფერი, რაც ჩემ ქვეყანას ვნებს.

ზემო ჩამოთვლილი სამი ჭირის მიზეზით აირია ჩვენში საზოგადო აზრი, როდიღა ვის შეუძლია სულ უბრალო საქმის გარჩევა. ამბოხება, რევოლიუცია ქვეყნიერობის არსებობაში ისეთივე იშვიათი „ერთ-წუთი“ მოვლენაა, როგორც ელვა, მეხი. შესაძლოა, განა, ადამიანი სულ იმას ნატრობდეს, რომ ჭექა-ქუხილი და მეხის ტეხა განუწყვეტელი იყოსო, რომ სხვა ძალა ქვეყანაზე არ მოქმედებდესო, და მუდამ მეხის მზადებაში ლევდეს თავის ღონეს? განა მეხი, ფურთვნა, მიწის-ძვრა კაცის ხელით მზადდება? უეჭველია, ღვინო ვერ დადგება, თუ შფოთიანი დუღილი არ გამოიარა. ტკბილი რომ დუღს, მისი სიბინძურე ზედა პირზე ქაფად ფარფაშებს, დადუღების შემდეგ კი

თხლედ შეიქნება და ღვინოს ძირში მოექცევა. იქაც როდი დაიტოვება, თორემ ღვინოს აამყრალებს და დასჭანგავს. დუღილი, შფოთიანი დუღილი, ამ ნაირად საჭიროც არის, კეთილ მყოფელიც. ნუ თუ აქედგან ის აზრი გამოდის, რომ ღვინო ნიადაგ უნდა დუღდეს? კაი შვილიც დადგება!

ბალღს ღვინის კეთებაში, რასაკვირველია, მარტო ქაფის ფარფაში, ბუშტების ტკაცა-ტკუცი, მოძრაობა, ხმაურობა ახალისებს და ამახსოვნდება, თორემ რა

გაეგება იმ ნელის, ჩუმის, შეუმჩნეველის ხანგრძლივი პროცესისა, რომელიც ყურ-
ძნის სიტკბოს სპირტად აქცევს? ბავშვს ეს არც კი მოეთხოვება. მაგრამ რით აიხსნება ესრეთივე შეცდომა მოზდილისა და ვითომ განათლებულის მწერალის?

მარტო იმ გარემოებით აიხსნება, რომ ჩვენი ეგრეთ წოდებული „მოწინავე“ ხალ-

ხი ჯერ კიდევ მეტაფიზიკის გავლენის ქვეშ იმყოფება. აგრე გასინჯეთ, თვით ექიმებიც კი, რომელთაც თავიანთი საგანი თანამედროე სწორი ცოდნის, ბუ-
ნების-მეტყველობის, მეთოდით შეუსწავ-
ლიათ, სოციალურ და პოლიტიკურ საქ-
მეებზე ძველ, მეტაფიზიკურ, მოაზრებას ვერ ასცილებიან. ჩვენს მწერლობაში ბ. ი. გომართელი საჩინო მაგალითია ამ ორ-
მხროვან გავლენის ნადუღისა. ამ მოვ-
ლენის მიზეზი ის არის, რომ სოციალურ და პოლიტიკურ საგნების მასწავლებლად ახალგაზდობას რუსეთში კანტისა და ჰე-
გელის მეტაფიზიკით გაჟღენთილი მწერ-
ლები, ბელინსკი, ჰერცენი, ჩერნიშევსკი, ლავროვი, სტრუვე და სხვ. ჰყავდა. ამ სკოლის გავლენისაგან თავის დახსნა და თანამედროე მეცნიერული ეკონომიკის თუ პოლიტიკის შეთვისება მეტათ ძნელია, მით უფრო, რომ ჯერ კიდევ გადაუთარ-

გმნელია რუსულად თითქმის ყველა ის თხზულებანი, რომელთ მეოხებით ეს ორი დისციპლინაც ამ უკანასკნელი თუთხმეტი, ოცი, წლის განმავალობაში მეცნიერულ მეთოდზე აშენდა. აი რა მიზეზით ბევრ ჩვენს მემარცხნეს თავი მეტად დაწინა-
ურებულად მიაჩნია და ის კი ვერ შეუმ-
ჩნევია, რომ მისი აზრები მარტო მაძ-
ძინის დროს, ამ სამოცი წლის წინათ, ეპატიებოდა იმ დროის მოწინავეს; ეხლა კი მცოდნე კაცის თვალში უვიცობად ითვლება.

ბრძოლას კი არ უარვყოფ – როგორც ბ. ურო მწამებს, – ვამბობ ბრძოლას შე-
საფერი მზადება უნდა მეთქი. აი, მაგა-

ლითად, რა შედარებით ვხსნიდი იმ ბრძო-
ლის უნაყოფობას, რომელიც მოწინავე
რუსის პარტიამ ამ ოცდა ათი წლის წი-
ნათ მოიხადა და წააგო. ვადარებდი რუ-
სეთის და საზღვარგარეთელ წრეებს:

57

„აქ (რუსეთში) ისეთი პირები მეთაურობ-
დენ, რომელთაც სრულიად არაფერი გა-
ეგებოდათ არც ფინანსების, არც ტეხნიკის,
არც ვაჭრობის, არც თავიანთ ქვეყნის ეტნო-
გრაფიის. სამხედრო ან საზღვაო საქმეზე
ხომ რაღა ლაპარაკი უნდა. სწავლა თით-
ქმის ყველას ჰქონდა – რაცა ებადა – მარტო
ლიტერატურული, ფილოლოგიური ან იუ-
რიდიული, ისიც ვიწრო სამსაჯულო მხრის.
საზღვარს გარეთ კი ყველა პოლიტიკური
პარტიის კადრი და შტაბი და სხვა და სხვა
სპეციალისტობის საჩინო მოღვაწეებისაგან
არიან შემდგარი. პარტიებს იქ მეტად რთუ-
ლი სასიცოცხლო საქმეები მორიგათ უდ-
გათ წინ, რომლის მართვა ერთობ მარჯვე
ღონისა და ცოდნის მოხმარებას თხოულობს;
ამიტომაც მეთაურებს გავლენის შერჩენა
როდიღა შეუძლიათ მარტო ფრაზების რა-
ხა-რუხით ან მოუწვდომელ სიმაღლისკენ
ფრთების ფართხალით. რუსეთში კი თვალ-
საჩინო საზოგადო, თვით მწერლური მეთა-
ურობა – თითქმის „ფიქრთ მეუფება“ – ერ-
თობ ღარიბი ცოდნის პატრონებს ებარათ.

58

ესენი თავიანთ თავს და საზოგადოებას მუ-
დამ მარტო იმ საკითხებს გარდაუშლიდენ,
რომელიც ჟან-ჟაკ რუსსოს, ან კიდევ მაზე
უფრო ძველებსაც გადაღეჭილი ჰქონდა.
(„Былое“, 1906, № 9, გვ. 254).

ამ გვარ ჩამორჩენაში მყოფ საზოგა-
დოებას, ამისთანა მეთაურების პატრონს,
დიაღაც არავინ ურჩევს, არა თუ სახიფა-
თო ბრძოლას ჩინებულად გამოწყობილ
მოპირდაპირესთან, სულ უბრალო საქმი-
ანობასაც. ჩვენებურ (იმერელ) მეთაურებ-
ზე ბევრად უფრო გამოცდილები ჰყავს
ქართლ-კახეთს. მაინც დახეთ, როგორ
მიჰყავთ მათ – ბრძოლას ვინ სჩივის –
ისეთი უბრალო, ნაცადი საქმეები, რომელ-

შიაც მიმბაძაობის მეტი კაცს არაფერი
სჭირია, მაგალითად: გიმნაზიის მოვლა,
თეატრის, გიმნაზიის შენობის აგება,
რკინის გზის გაყვანა. ნუსხა რაა, ისიც
კი ვერ შეუდგენიათ სისწორით. მიზნის
მიწევნას რა საშუალება დასჭირდება, ის

ვერ უანგარიშნიათ. ხეირიანი პირობა ვერ
დაუწერიათ ბანკთან. ისიც არ სცოდნიათ,
რომ რკინის გზის შოვნა, კონცესიის
განხორციელება ინჯინრის საქმე კი არაა
– მათ მარტო შენებას ასწავლიან – თხო-
ულობს ღრმა ეკონომიურ, ფინანსიურ,
იურიდიულ ცოდნას და გამოცდილებას.
მოგეხსენებათ, მრჩევლად მოპირდაპირის
იურისკონსულტი აუყვანიათ, იმასაც ვერ
მიმხვდარან, რომელ მხარეს იცავდა ეს
მრჩეველი. რაღა საკვირველია, რომ ის
ჩვენ მეთაურებს ყირამალაზე გადიყვანდა?
ესვე არ დაემართათ ჩვენს პოლიტიკურ
უთავო მეთაურებს? მათი შეცთომის ათას
მაგალითიდგან ერთს მოვიყვან: აზეფის
ბრძანებით ბოიკოტი რომ გამოუცხადეს
პირველ სახელმწიფო სათათბიროს! ამ
გარემოებებში, ამ განვითარების ხალხს,
ვინმე ანდობს განა ისეთ მსწრაფლ-მოქ-
მედ საწამლავს, როგორიც სტრიქნინია,

თუმც ხანდახან, იშვიათად, პაწია დოზე-
ბით იგიც წამლად ვარგა? ჩვენ ხალხს
ის მარილი ეგონება, ქვეყანას დააღუპ-
ვინებს. აი რა მოაზრებით გამოვთქვი
ახალი მეცნიერების დასკვნა: „გონიერი
კაცი და ერი თავისუფლებას, თუ ავტო-
ნომიას მით იძენს, რომ ანგარიშიანი
მართვით ჯერ თავის შინაურ, მერე სამ-
რეწველო, შემდეგ საზოგადო, ბოლოს
პოლიტიკურ საქმეების საშუალებით იგ-
როვებს უმაღლესი სახელმწიფო საკი-
თხის საწყვეტად“ (იხ. „Мечта и
Жизнь“ XIV). სუ თუ ამ შეურყეველ
დედა-აზრს ჩემი პოლიტიკისას სინიდი-
სიერი ვინმე გადააქცევს შრომის, ბრძო-
ლის, ავტონომიის უარჰყოფად, მონობის
ქადაგებად, რეაქციის მომხრეობად? შავ-

რაზმობას ვინ უწყობს ხელს: ამ დედა-
აზრის მიმდევარი, თუ აზეფის ყურ-
მოჭრილი ყმა?

ბ. ურო ამ დედა-აზრს ებრძვის. სწერს:
კერძო პირს, დაწესებულებას ვერ შევა-
დრით მთელ ერს, სახელმწიფოს, ესე
იგი ავტონომიას. კერძო პირი მომაკვ-
დავია, და ერი კი უკვდავიაო!“ ესეც
მეტაფიზიკა გახლავთ. შორს რომ არ
მივაკითხოთ, ამერიკაში რომ არ მოგ-
ვიხდეს წასვლა მთელი რასსების გაწყვე-
ტის საძიებლად, მარტო ჩვენს სამზღვრე-
ბზე რამდენი ერის ხსენებაც კი გამწყდა-
რა? წვრილმანებს რომ თავი დავანებოთ,
სადღა მოიძებნებიან ისეთი მსოფლიოს
პატრონები, როგორიც მიდიელები, ასი-
რიელები, ბაბილონელები, ფინიკიელები
იყვნენ? ჩვენს დროს არ იყო, ჩერქეზე-
ბის სახელი რომ ამოიფხიკა რუკიდამ?
ვინ იტყვის, ამის შემდეგ, ერი უკვდა-
ვიაო? თანამედროე მეცნიერებას არა თუ
კერძო ერის, მსოფლიო ენერგიის უკვ-
დავებაც აღარ სწამს: დაილევაო, ამტკი-

ცებს. არ შეუტყვია განა ბ. უროს?
ერის კერძო პირებისგან გაცალკევება აგ-
რეთვე მეტაფიზიკის ნაშთია. მარტო მას
ეგონა ერი რაღაც განკერძოვებული „სუბ-
სტანციისგან“ არის გაჩენილიო. სწორე
ცოდნის თვალში კი ერი მის კერძო პი-
რებისგან და მათ დაწესებულებათაგან
დგება. თუ ესენი ცალ-ცალკე უვარგისი
ან გაღატაკებული არიან, ერიც სუსტი,
ღარიბი იქნება და დიდს ვერას მოა-
ხერხებსო.

თვით ბ. ूროც გრძნობს თავის მხი-
ლების სისუსტეს. „ნიკოლაძე მხოლოდ
სიტყვით უარჰყოფს ბრძოლას, საქმით
კი ის მებრძოლი იყო და არის. მთელი
მისი ლიტერატურული მოღვაწეობა ბრძო-
ლაა, თუმც ამ ბრძოლას საფუძვლად პრაქ-
ტიკული მიზანი უდევსო,“ სწერს.

ნუთუ, მარტო ლიტერატურული ჩემი
მოღვაწეობაა ბრძოლა? საზოგადოებრი-

ვიც რომ ბრძოლა არ იყოს, ამდენი მტე-
რი განა დამესეოდა? ხომ არ ვმწერლობ-
დი ახლა? ხედავთ, მაინც, წაქცეულსაც
მებრძვიან. რომელ პირადი მიზნის მიმ-
დევარს გასჩენია სადმე ან როდესმე ამდენი
მოწინააღმდეგე, განა თვით ამ ბრძოლის
სიმწარე არ აჩენს მის სიმაღლეს? სასა-
ცილო ისიც არის, რომ ჩვენს მეტაფი-
ზიკოსს ჩემი ბრძოლის საფუძველი –
პრაქტიკული მიზანი – ნაკლად მიაჩნია!
მართალია, სიცოცხლე, ლეკვივით, მთვა-
რისთვის ყეფაში და ზუვილში არ გა-
მიტარებია. მიუწვდომელ ოცნების, ბრმა
მიმბაძაობის მაგიერ მიზნად ყოველთვის
მქონია ჩემი ქვეყნის მორიგი საჭიროე-
ბის შესწავლა, დაკმაყოფილება. ამ ჩემმა
„პარქტიკულმა“ მიმართულებამ, არა თუ
ზოგი რამ გამარიგებინა, იმ საცოდაობას
და პასუხის გებას გადამარჩინა, რომე-
ლიც ჩემ მოწინააღმდეგების ხსოვნას სა-

მუდამო დაღათ დაემჩნევა. არავინ გამი-
ბრიყვებია რჩევით – რასაც ფლობთ, რა-
საც გაძლევდენ, წიხლი ჰკარით, მანანა მო-
გელისთ ციდამო. არავინ დამიღუპავს უს-
წორ, უიმედო ბრძოლაში ჩათრევით, არა-
ვის დატანჯული სახე სინიდისს არ მიშ-
ფოთებს: მე სადა ვარ, და შენ სადო? ჩემ
ნაშრომში ვერავინ ვერაფერს გამოძებნის
ქვეყნის შემცდენელს, მღუპველს. მას
ბევრი ხამი თაობა დატაკებია, მთვარეს
რათ არ ეპოტინებიო, მაგრამ ვინც მო-
წიფებულა, მიმხვდარა, რომ ეს ღირსება
ყოფილა. დაე, ბ. ურომ ამას „მონობა-
მორჩილება“ უწოდოს, „ბიუროკრატიის
მსახურება,“ იმის დაწერაც გაბედოს „ნი-
კოლაძის ცხოვრება რაც იყო, უმჯობესია
მისთვის, არ გავიხსენოთო!“ რა ესმის,
რა სპეტაკი ხელი უნდა ჰქონდეს სხვის
ცხოვრების შემხებს? ვაპატიოთ ეს ხამობა
ბ. უროს, იქნება გასწორდეს. თორემ ნა-

ხავს, ლაფს როდი დავაჯერებ, ცეცხლში ვურგავ თავს.

VI.

განსაკუთრებით იმით ჯირითობს ჩემ-ზე ბ. ურო – ავტონომიის, ქართველო-ბის მტერია, შავრაზმელია, ძველ თავის აზრს უღალატაო. დროა ეს მხარეებიც გამოვიკვლიოთ, განზრახ ხმა არ ამო-მიღია შარშან ამ საგანზე: შემწამებდენ – არჩევნების აქით თუ იქით გადახრას მეცადინობსო. ახლა კი, როცა ბრძოლა დაცხრა, უფრო გულდამშვიდებით შეუძ-ლია ყველას ამ კითხვების განსჯა და გა-დაწყვეტა.

რათ ვიქნებოდი ავტონომიის მტერი, როცა მთელი ჩემი მოღვაწეობა – როგორც წინათ დავამტკიცე – თვითმართველობას მოვანდომე? ავტონომიაზე ყოველთვის

მარტო იმას ვამბობდი, რომ რასაც ჩვენ-ში ამ სახელს არქმევენ, მეცნიერებაში „ფართო ადგილობრივი თვითმართველო-ბა“ ჰქვია, და ჩვენც ეს სახელი რომ ვიხმაროთ, უფრო ადვილად მივაღწევთ მი-ზანს მეთქი. მტრობაა ეს, თუ მოყვრობა?

სახელზე უთანხმოება ჩვენ ვერ გაგვ-ყრიდა. მარტო ის გარემოება გვაშორებს ერთმანეთს, რომ ჩემი წინააღმდეგები მართლა კი არ ემსახურებიან ავტონომიას და ქართველობას, ანკესად ხმარობენ სულ სხვა საქმისთვის, რომელსაც არა თუ არას-ოდეს არ მიმხრობივარ, ბავშობიდგან – როგორც ნახავთ – ცხარედ ვებრძოდი, სწორედ აი ამ ავტონომიის და ქართვე-ლობის ერთგულობით. ავტონომიის (ესე იგი ფართო თვითმართველობის_ და ქარ-თველობის საქმე მარტო ლოიალურ ნია-დაგზე იქნება დაცული. მას საძალადო სრულიად არა აქვს-რა. უკიდურესობა მას

ერთიანად ღუპავს. ქართველობას რა საქ-მე აქვს „მშრომელ ჯგუფთან,“ რისი შოვნა შეუძლია მისი წყალობით? თავათ

ამ ჯგუფს – სხვა ქვეყნებში – მომავალი
აქვს, განა, კონსტიტუციურ მხარეში!
რა ხელი გვაქვს იმ კითხვასთან, თუ ვინ
იყო მართალი ან მტყუანი კარპოვის აფეთ-
ქებაში? ორივე შავ წყალს წაუღია.

უკიდურესობის მომხრე ვერსად ასცილ-
დება სოციალ-დემოკრატიის გავლენას.
ცხოვრება მარტო ამ პარტიას აწოდებს
თავ უზოგავი ბრძოლის მასალად: მუშას,
უქონებო, უიმედო ხალხს, რომელსაც და-
საკარგავი არა აქვს-რა და ყოველი ნაძალა-
დევი მოგებას უქადის. ქართველობის მი-
ზნები კი მარტო ზომიერების გზით მი-
იწევნება. ამას გარდა ვინ არ უნდა იცო-
დეს, თუ რა არსებითი შეურიგებლობა
სუფევს ქართულ საქმეს და შრომის ჯგუ-
ფის იაკობინიზმს შუა? იაკობინიზმის სა-

ძირკველი, იარაღი, მისი შინაარსი ცენტრ-
ალიზაცია არის ე. ი. იაკობინიამია, რომ
ცდილობს ადგილობრივი თვითმართვე-
ლობა, პროვინციალური სხვა და სხვა ფე-
როვნება, კერძო ერები და მხარეები ბრმად
დაუმონოს ერთ მოთავე ძლიერებას. ია-
კობინიზმი არ იყო, ერთიანად რომ მოს-
პო საფრანგეთში ყოველი ნაშთი ეროვ-
ნული თვით-ცნობისა და ფედერაციის საქ-
მე სისხლის მორევში ჩაახრჩო? დიდი სა-
მეფოების მჭედელი პაწია ერს განა უშ-
ველის?

ეს იმოდნათ სწორი, უტყუარი ჭეშ-
მარიტებაა, რომ ყოველთვის, როცა ჩვენ-
ში რამე ნამდვილი კითხვა, რეალური
საქმე გაჩნდება, იმ წამსვე მტკიცე „ბლო-
კი“ იკვრება ამ ორს ვითომ მტერს, სო-
ციალ-დემოკრატებს და ფედერალისტებს
შუა, მათი უკიდურესობა მათგან ერთ პარ-

ტიას არდგენს, დანარჩენი საზოგადოების
წინააღმდეგ. მათი ცრუ ბრძოლა ცარიე-
ლი თვალთ-მაქცობა, ხალხის მოტყუებაა.
ორივე პარტია თავის მიზანს, სახსარს,
პროგრამას, ხელმძღვანელობას ჩვენში და
ჩვენს საჭიროებაში კი არა, სხვაგან ეძებს
და შოულობს, ისეთ უცხო წრეებსა და

მიმართულებაში, რომელთაც ქართველო-
ბასთან არც საერთო რამ აქვთ, არც არა-
ვითარი მსგავსება. ცარიელი უკიდურე-
სობის მეტი მათ არაფერი ამოქმედებს.
არა თუ წინასწარმეტყველობა, დიდი ან-
გარიშიც კი არ სჭირია მცოდნე კაცს,
მისახვდომათ, – ამ ორ უკიდურესობისა-
გან რომელი მოერევა და შთანთქავს მე-
ორეს? რასაკვირველია ის, რომელსაც
უცხოეთში უფრო თვალსაჩენი, უკეთ გა-
წრვთნილი მაგალითი თუ ხელმძღვანელი
აბადია, შინ კი მეტი და უფრო სანდო
მასალა ეგულება, ისეთი მასალა, ვისაც

მთა და ბარის გასწორება არა თუ არას
ავნებს, კიდეც არგებს.

ახლა თვით უკიდურესობაზე გა-
გიმხილოთ ამ დროის მეცნიერების მოძ-
ღვრება. უკიდურესობა მარტო მანამდია
შესანდობი, სანამ ხალხის დაბალი, უმე-
ცარი წრეების ღვიძებას, წრთვნას, ამაღ-
ლებას ემსახურება, სანამ მოსამზადებელი
შკოლის როლს ასრულებს ერის პო-
ლიტიკურ ზრდაში, ისიც იმ პირობით,
თუ მოწაფეს საყასპოსკენ არ იტყუებს.
ვერ დაითვლის ადამიანი, თუ, ასეთ უკი-
დურესობას, რამდენი უბრალო მუშა ნელ-
ნელა, შეუმჩნევლად ჩინებულ, სასარგებ-
ლო ბურჟუათ გადუქცევია, არა თუ ევრო-
პასა და ამერიკაში, თვით რუსეთსა და ჩვენ-
შიაც. მათგანი ზოგი კიდეც მინისტრობს,
ზომიერების ბურჯად ხდება. აი, თუნდ
ბრიანი, საფრანგეთის ამასწინდელი მთა-
ვარ მინისტრი. სულ სხვაა უკიდურესო-

ბის ატანა საზოგადოების მაღალ წრეებ-
ში, რომელთ დანიშნულებაა ქვეყანას ჭკუ-
ით, ცოდნით, ზნეობით ემსახურონ, და
არა მუსკულებით. ამ წრეების უკიდურე-
სობა ნიშანია, რომ ღირსი არ ყოფილან
მაღალი დანიშნულებისა, ხალხს უთავოდ
სტოვებენ. მათი უკიდურესი მიმართუ-
ლება ერს ამდაბლებს, კიდეც რყვნის,
რადგანაც პოზა, ტყუება, მალვაა საკუთა-
რი უვარგისობის. ნუ რა გჯერათ თავადის,

ბანკირის, მრეწველის, ქალაქის-თავის, ღენერლის უკიდურესობისა, ნურას აშენებთ ისეთ უნდობ საძირკველზე, როგორსაც თავის ხელობის უარმყოფი შეადგენს. მტკიცედ იცოდეთ – ის ჩვენებური კინტოა, პროვოკატორობს, გაჭირვების დღეს „მიიმალება," გაბრიყვებული ხალხის მწარე ბედს არ გაიზიარებს.

რაც უფრო წინ წავა ხალხის პოლიტიკური გამოცდილება, ეს ჭეშმარიტება

თან-და-თან უფრო მეტისთვის ცხადი შეიქმნება, რომ ქართველობას ამ მიმბაძავ უკიდურესობისგან არავითარი სიკეთე არ მოელის. აი, ამ ურგებ, მავნე უკიდურესობის მიზეზით იძულებული გავხდი მეფიქრა, რომ ავტონომიაც, ფედერალიზმიც, ქართველობაც, „ტაკტიკისთვის" დაუჩემებია ამ მკვდრათ-ნაშობ პარტიას, რომელსაც ქართველობასთან ბუნებრივი კავშირი თავის დღეში არც ჰქონია, არც ეღირსება.

მოგახსენეთ, ვერ გამიგია, რა ნამდვილი ძალა სპობს შეურიგებელ წინააღმდეგობას „შრომის ჯგუფის" იაკობინიზმსა და ფედერალიზმს შუა. თვით ეს ფედერალიზმიც გაუგებარია ჩემთვის. ვინ არ იცის, ის კავშირია თანასწორ, თავისუფალ სახელმწიფოებს შუა. მაშასადამე, ის ან ორი საუკუნით დაგვიანებულა ჩვენთვის, ან ერთი საუკუნით მაინც სა-

ადრიოა. ამ გვარ კავშირის შესადგენად მარტო ერთი მხარის სურვილი როდი კმარა, საჭიროა ყველასი თანხმობა: სხვებსაც უნდა უნდოდეს და სახეიროდ მიაჩნდეს ჩვენთან დაკავშირება. „პარტიის" პროგრამა ამ მხრით ნუ თუ არ გაგონებთ იმ „ქვენახელობის" მსხვერპლს, რომელიც აიხირებს – მზეთუნახავ-ბატონიშვილს ვირთავო, და ამ ოცნებით თავს ითრობს, იღუპავს? შეირთავს დიაღაც, მაგრამ ისიც ხომ უნდა იკითხოს –მზეთუნახავი იკადრებს, მიიკარებს, შეიყვარებს, გაყვება? კიდეც რომ გაგიჟდეს და შეირ-

თოს, შეეძლება ამ ვაჟბატონს მისი შესა-
ფერი რჩენა, მასთან თანასწორი განწყო-
ბილება? ჩემი ქონების პატრონმა რომ
დავიჟინო: როტშილდთან, მორგანთან,
როკფელერთან, ვანდერბილდთან ერთად
ამხანაგობას შევკვრავ-შეთქი, როგორ ფი-
ქრობთ, სრულ გონებიანად ჩამთვლის ვინ-

მე? მათი ამხანაგობა ჩემთვის, რასაკვირ-
ველია, სასარგებლოც იქნება და სანეტა-
როც. მაგრამ ისინიც გამიტოლდებიან
განა? ეს რომ გაუმხილო მათ, განა პან-
ღურის ცემით არ გამხეთქენ? ხალხს ასე-
თი ჩემი პრეტენზია განა სასაცილოდ
ეყოფა?

ასეთ აბსურდამდი მიათრევს პარტიას
მიმბაძაობა, სინამდვილის დავიწყება. ისე-
თი პროგრამის შედგენას, რომელსაც
თვალახელით, გულწრფელად, ბოლომდი,
გამწარებულის მეტი, ვერვინ გაჰყვება,
სხვა შედეგი არ ექნება ქართველობაში,
ამიტომ რომ გამწარებულების, უიმედო-
თა რიცხვი ერთ ხეირიან პარტიასაც
ძლივს ყოფნის ჩვენში და მართლა გამ-
წარებულს კიდეც ჰყავს თავის შესაფერი
პარტია. ქართველობას ამ პარტიასთან
კონკურენციის გაწევა არ სჭირია: რაც
შიგ გონიერია, ის მოიწიფება თუ არა,

უმეტოქეობოთაც გაქართველებასაც ისევე
ვერ ასცილდება, როგორც გაბურჟუებას.
დანარჩენს, სულ ერთია, უკიდურესობი
თაც ხომ ვერ გადმოიბირებთ: მათი წრე
სხვისკენ მიითრევს. მაგიერად უკიდუ-
რესობა, რომელიც არას გძენსთ, ქართვე-
ლობის ცხრა-მეათედს გაშორებსთ. ვინც
თავზე ხელ-აღებული არაა, თან და თან უნდა
ჩამოგცილდესთ. თქვენი წარმომადგენლის
„შრომის-ჯგუფში“ ჩაჯდომას მარტო ეს
შედეგი ექნება, სხვა არაფერი: თქვენს
გავლენის გარეშე დარჩება ის უმრავლე-
სობა ერისა, რომელიც, ღვთის მადლით,
უიმედო არაა, რისიმე პატრონია, რამე
იცის, მეცადინეობს თავის თავისთვის,
ოჯახისთვის, ქვეყნისთვის, და, თუმც უს-

წორ-მასწორო ბრძოლას ერიდება, სამშობ-
ლო ენას, სახელს, ეროვნებას, ქვეყანას
მანც გულწრფელად, შვილობრივად, ბუნე-
ბრივად სიკვდილამდი თაყვანს სცემს. ახი-

რება არაა, ასეთი ცოცხალი მასალა პარ-
ტიას თვალწინ ჰქონდეს და მისი გაწრ-
თვნა არ შეეძლოს საღი პროგრამით?
ძნელია-თუ ასეთი პროგრამის შედგენა
ჩვენივე საჭიროების მიხედვით? რა უფ-
ლებაც გვაქვს კანონით მონიჭებული, რა
საშუალებაც მოუცია ჩვენთვის წარსულს
ან ბუნებას, გონიერად ვიხმაროთ ქარ-
თველობის მდგომარეობის გასაუმჯობესე-
ბლად, მზეთუნახავ ნეტარებამდი კი არა,
სხვა, განათლებულ, ქვეყნებში ნაცად სი-
კეთემდი. ვინც გონება დამჯდარი ქარ-
თველია, ყველა გაჰყვება ამ დროშას,
ვისაც ქართველობის შველა უნდა, მან
თავისი პოლიტიკური გეგმა უნდა შეამ-
სუბუქოს, ეგებ რაც შეიძლება უფრო მეტ
ხალხს ერთი და იგივე ნამდვილი პრაქ-
ტიკული მიზანი აღუნიშნოს, მისთვის
გასაგები და საჭირო. მარტო ეს შეგვძენს
მტერს-მოყვრის ყურადღებას და მორი-

დებას. ჯერ ამას უნდა ვეძებდეთ, და არა
მიუწვდომელ კოშკიდგან მზეთუნახავის
მოტაცებას, რომლისთვის თოკის კიბეც
კი არ გვაბადია. სანამ ამ კოშკის სინამ-
დვილის კი არა, სურათის – ყურებით თვა-
ლებს ვიცივებთ, ვერ ხედავთ, სოციალ-
დემოკრატია რა ქულაჯაში ირთვება, რა
ბუხრის ქუდს თავზე იკეცს, რა თვალს
უბრიალებს ნამდვილ თქვენს დანიშნულს?
ოცნების გამყოლი აუცილებლად ქონება-
საც ჰკარგავს. თქვენ პარტიასაც ეს მო-
მავალი ელის.

ამაებს ვფიქრობ ჩემთვის, მიტომ რომ
არ შემიძლია სხვაფრივ ვიფიქრო. როდი
ვქადაგობ ამ აზრებს. მარტო, როცა ვინმე
ჩემზე მტრულად სტყუვის და ცილს მიყ-
რის – ქართველობის მტერიაო – თავს ვი-
მართლებ ხოლმე თქმით: მტრობამ კი
არა, სიყვარულმა მიმიყვანა ამ შეხედულე-

ბამდის-მეთქი.

უკანასკნელი მხილება – ისიც ცილი, რასაკვირველია, – დაგვრჩა გასაქარწყლებ-ლად: ნიკოლაძემ თავის უწინდელ რწმე-ნას უღალატა, მოწინავე შავრაზმელად იქცაო.

ოცდა ერთი წლის ყმაწვილი გახლდით, როცა ჰერცენის „Колокол“-ში (№ 199, 1 ივლისს 1865, გვერდი 1632) აი რას ვურჩევდი ქართველობას. ვთარგმნი სი-ტყვას-სიტყვით:

„ნაციონალური მისწრაფების გადაჭარ-ბება საქართველოს იმ საყასბოში ურგავს თავს, საცა ეხლახან ტყავი გააძვრეს პოლ-შას და სისხლი დაუშვრეს ჩერქეზებს. ევ-როპის სახელმწიფოები საქართველოს ან ალჟირივით (ესე იგი მკვიდრისთვის უფ-ლება-მიუნიჭებლად) დაიმონებენ, ან ინ-დო-ჩინეთივით ცარცვას დაუწყებენ. ეს გვხვდება, თუ ნაციონალურ მისწრაფებას კეთილი ბოლო მიეცა. რა შედეგი მოჰყვება უბედურ ბოლოს, და რამოდნათ ეს უფრო

მოსალოდნელია ბედნიერზე, ეს ყველასა-თვის ცხადია..

„ამ მოაზრების ძალით ვფიქრობთ, რომ საქართველოს ბედის თვით ეხლანდელ რუ-სეთთან გადაწნა უფრო მალე გააუმჯობე-სებს მის მდგომარეობას, ვინემ რომლი-სამე სხვა ევროპიელი ნაციის კავშირი ან მფარველობა (მფლობელობაზეც რომ არა ვსთქვათ რა). ოსმალეთი ან სპარსეთი აქ ხომ სახსენებელიც არაა. საქართველოში მათზე არც ერთი ჭკუა-საღი ადამიანი არ ფიქრობს“.

აი, ჩემი **მუდმივი** რწმენა და პოლი-ტიკა. ან ჩემ ნაწერებში ამის წინააღმ-მდეგი აზრი უნდა გამოძებნოს სადმე ბ. ურომ, და მოიყვანოს, ან უნდა გამო-ტყდეს, მე კი არ ყოფილვარ ჩემი ძვე-ლი რწმენის მოღალატე, მას თვითონ უღალატნია სინიდისისთვის.

თუ ოცდა ერთი წლის ჭაბუკს ამაე-ბის ანგარიშობა შემეძლო, სიბერეში მე-

80

ავყვე, ვინც შვიდს ზეით ვეღარ სთვლის? ეს ამონაწერი ამტკიცებს, რომ ყოველთვის იგივე ყოფილვარ, რაც დღესა ვარ: ერთგული, ანგარიშიანი მწყემსი ქართველობის სიკეთისა, შეურიგებელი მტერი ყოველი მიმართულებისა, რომელიც საქართველოს ქონებას სხვის, უცხოეთის მიზანს, თუ საქმეს, სწირავს.

ერთი კი წამცდა. ამ ჩემ მიმართულებას ჩემი პოლიტიკა დავარქვი. ჩემი შიგ არაფერია, მისი გამოკვლევის, გახსენების, განათების მეტი. ქვეყნის პოლიტიკას – როგორც მის ბუნების ნამდვილ ძალებს – ადამიანის, ხალხის სურვილი კი არა, ამ ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობა სჭედს. პოლიტიკა ახალ მოდური შლიაპკა კი არაა, რომლის ცვლა ჩვენს ქეიფზე ჰკიდია, ისეთივე ტრადიციული, უცვლელი, მამა-პაპური განძია, როგორც ენა, ეროვნება, სარწმუნოება.

81

სანამ შავი-ზღვიდან გასავალი სრუტე ოსმალოს ხელშია, სანამ სამხრეთით ოსმალეთი და სპარსეთი გვაკრავს, აღმოსავლეთით – ლეკი და თათარი, ჩრდილოეთით – რუსეთი, ბევრიც რომ ვიწრიალოთ, იმ პოლიტიკას ვერ ავცილდებით, რომელიც აურჩევიათ საქართველოს უაღრეს გმირებს, ბევრი ცდის, ძებნის და მსხვერპლის შემდეგ. უკეთესი რომ შესაძლო ყოფილიყო, განა მათ დაემალებოდა? ჩვენზე ცოტად სწყუროდათ, ვითომ, დამოუკიდებლობა, საკუთარი გვირგვინი ჩვენზე ნაკლებ უყვარდათ? საძებნი გზა ჩვენსავით დახშული როდი ჰქონდათ, უფლებაც სისრულით ხელთ-ეპყრათ, ვისთანაც უნდოდათ საქმე დაეკავებიათ, კავშირი შეეკრათ. ბრძანებისამებრ მთელი ქვეყანა მიმოვლეს მათმა ელჩებმა, სამეფო არსად დარჩენიათ, რომელთანაც მოლაპარაკება არ გაემართათ, დაახლოვება

საქართველოს სახსნელად არ ეცადათ. სა-
ნამ საბოლოოდ გზას დაადგებოდენ, სანამ
გვირგვინს ერის არსებობას შესწირვიდენ,
ყოველი საშუალება სინჯეს, ყოველი ღო-
ნის-ძიება იხმარეს; თვით სარწმუნოების
შეცვლასაც შეპირდენ რომის პაპს და ფრი-
დრიხ დიდს. უცრემლოდ ვერ გადიკითხვას
კაცი ამ სამი საუკუნის მეცადინეობის
აღწერას მატიანეებში. რაც ამდენს, ამის-
თანა თაობას აუგია, აუცილებლად უც-
ვნიათ, იმას ერთი ჯგუფი, გინდ ერთი
თაობა ვერ შცვლის. სანამ ოსმალოს,
ან სპარსეთის ადგილს რომელიმე სხვა
რასსა ან მეფობა არ დაიჭერს, საქართვე-
ლოსთვის არავითარი სხვა პოლიტიკა არ
იარსებებს, იმის გარდა, რომლითაც ხელ-
მძღვანელობდენ, იძულებით, საქართვე-
ლოს უგონიერესი პატრონები: ალექსან-
დრე კახელი, ალექსანდრე იმერელი, ვახ-
ტანგ კანონმდები, თეიმურაზ მეორე, სო-

ლომონ დიდი, დიდი ერეკლე. რა ძალამ
და აუცილებლობამ ეს დევები გასტეხა, ის
ახლაც უცვლელად არსებობს; მას ვერც
ჩვენ მოვერევით. როგორც უნაყოფოდ,
უკვალოდ, უსახელოდ დაიღუპა ყოველი
სახსარი, მათ დროს სხვა რამე მიზნის-
კენ მიმართული, ისრევე წყალ-წაღებულია
ყველა სხვა მეცადინეობაზე ნახმარი სა-
შუალება. ბუნების წინააღმდეგ ყოველი
ცდა ამაოა და სასტიკად ისჯება.

ამიტომაც ქვეყნის მოღალატე და დამ-
ღუპავი მარტო ისაა, ვინც ამისთანა წი-
ნაპრების მცნებას უცხო მოძღვრობის-
თვის ივიწყებს, და ამ შემცდარ მოძ-
ღვრებას ალევს საქართველოს უმჯობესს,
უკანასკნელ ძალას.

უმთავრესი შეცთომები

გვ.	სტრ.	დაბეჭდილია	უნდა იყოს
13	20	პასუხის გების	ქალაქის პასუხის გების
15	7	მოედვენ	მოსდვეს
„	11	და მეშვიდები	და მეშვიდეში
17	15	ჩაიფლა	ჩაჰფლა

18	10	ერთი კვირის	ერთ კვირას
25	19	კრიტიკოსმაც	კრიტიკოსმა
27	15	როდიმე	რამდენჯერაც
36	3	მიმართულე-ბისაო	მიმართულების არისო
38	1	დამარცხდებაა	დამარცხებაა
41	19	სხოლასტიკით	სხოლასტივით
49	9	ეიძულებიათ	იძულებით
„	12	თუ	და
„	13	პირდაპირი	თუ პირდაპირი
50	1	ედგა	ადგათ
„	17	უფო	უფრო
57	11	შტაბი და	შტაბი
„	19	მოუწდომელი	მიუწდომელი
60	13	სუ თუ	ნუ-თუ